# დროება

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 135 შაბათი, 20 ივნისი 1909 წ.

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. საჭიროების დროს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია შეასწორებს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 12 საათიდან დღის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ზოლდ სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


კვირას, 21 ივნისს,

**მარიამ გრიგოლის ასულის მნელაძის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქუთაისში, საფიჩხიის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ჭირისუფალნი. (1—[illegible]—1)

**გიგო ილარიონის ძე ხარხარაშვილი, ვარათი, ნინა, სოფიო, მარიამი, ალექსი მაისურაძენი, მღ. იოანე ქრისტესიას ძე ლებანიძე და ზაქარია გაბრიელის ძე გურბელაძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას: პირველი—დისა, მეორე—მამიდისა, მესამენი—დაუვიწყარ დედისა, ხოლო ორი უკანასკნელი—სიდედრის

**ანნა ილარიონის ასულის მაისურამისას.**

პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 ს. გამოსვენება კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში კვირას, 21 ივნისს, დილის 9 ს. და დაკრძალვა ამავე დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე. ადრესი: პირველი თუმანოვის ქუჩა, № 4. (2—303—1)


**პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართულ სამეცნიერო წრის** სასარგებლოდ კნ. ელისაბედ ირაკლის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის თაოსნობით, შაბათს 20 ივნისს, **თავად-აზნაურთა საზაფხულო თეატრში და ბაღში** გაიმართება

## სეირნობა, წარმოდგენა და საკონცერტო განყოფილება

1. მოყვარულთა დასი წარმოადგენს „პანწა შტუკარსკას". 2. საკონცერტო განყოფილებაში მიიღებენ მონაწილეობას: ელეფთეროვი, სიზოვი, გუდოვი, დილმელოვი, მიქელაძე, ომიაძე, სვიმონიშვილი, ჩუბინაშვილი და ტატიშვილი. გაიყიდება შამპანიური, ვარდები, კონფეტი; გაიმართება ფოსტა ორია პრიზით.

**დასაწყისი სეირნობისა 4 საათზე. წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე.**

12 საათიდან როტონდაში გაიმართება **ევროპიული ცეკვა.**

(2—2) **დაუკრავს ბ-ნ ფალიაშვილის ორკესტრი.**

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 21 ივნისს, 1909 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**პირველად ახალი პიესა:**

## ქორწიანი ტოროლა

პიესა 4 მოქმ. ვილდენბრუხისა, თარგ. ს. ტ—სა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი სწორედ საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზედ.**

ბილეთები გაიყიდება თეატრის კასსაში დილით 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებით** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად **სხვის** ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულებით აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი კ. **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ხვიჩელი.**

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მისვლელ ავადმყოფთათვის.

ვორონცოვის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ი. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკარაძე**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.— 89)

**ექიმი ნ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—106)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ი. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—174)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 92)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 14. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი მ. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჭალის ქუჩა, N 41, სახელმწიფო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე კიროჩნი, N 9. (უ)

გამოვიდა პირველი, მეორე და მესამე ნომერი სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის

**„მოსავალი"-სა**

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წელიწადში ჟურნალი ღირს—3 მ., მდგომარე წლის პირველ იანვრამდე—2 მ., ცალკე ნომერი ხელზე გასასყიდად—10 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ბაღში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

რედაქციის ადრესი [illegible] თვის და [illegible] ყოფილებისა[illegible] გამოქვეყნებისათვის: Тифлисъ, „мосавали", Барятинская, 5. (7—6.—4)

**დ. სამტრედიაში**

კვირას ამა ივნისს 21-ს

გაიმართება

## დიდი სეირნობა და ლატარია

ქ.-ში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ. (2—.6—1)

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. სააგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—6.—6)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

სთხოვს სახლის პატრონებს, აცნობონ მას, როდესაც-კი შეამჩნევენ, სასანიტარო ნაწილის საქმეში სავალდებულო დადგენილებათა დარღვევას. ასეთი ცნობები საჭიროა ქალაქის სუფთად შესანახად, რომ ხოლერა, რომელიც ეხლა პეტერბურგში მძვინვარებს, არ შემოვიდეს და არ გავრცელდეს ტფილისშიაც. (1—6.—1)


## ახალ ჯარის გაგზავნა სპარსეთში.

გუშინ „პეტ. დეპეშათა სააგენტომ" საყურადღებო დეპეშა გადმოგვცა. როგორც ამ დეპეშიდანა სჩანს, სპარსეთში რუსეთი ახალ ჯარსა ჰგზავნის, ხოლო არა თავრიზისკენ, არამედ რეშტ-თეირანისკენ. როგორც ვიცით, თეირანი და შაჰი ამ ჟამად დიდ განსაცდელში არიან: ბახტიარები და რეშტ-კაზვინელი რევოლიუციონერები ჯარით თეირანისკენ მიდიან, და ფიქრობენ, რომ დღე-დღეზე ამ ქალაქს აიღებენ კიდეც. აი თვით დეპეშაც:

„საშიშ მდგომარეობის გამო სპარსეთში, კავკასიის ნამესტნიკს წინადადება მიეცა, მოამზადოს ჯარი ჩვენ ენზელ-თეირანის გზაზე გასაგზავნად და აგრეთვე გემები ამ ჯარის გადასაზიდად ბაქოდან ენზელში. ეს ზომები წინ-და-წინვე უნდა იქმნას მიღებული იმ შემთხვევისთვის, თუ ბახტიარებისა და კაზვინელ ფიდაების თეირანზე გალაშქრებას მოჰყვება ანარქია, რომლის დროსაც შეიძლება განსაცდელში ჩავარდნენ რუსეთის და უცხოელების დაწესებულებანი და ქვეშევრდომნი, აგრეთვე ენზელ-თეირანის გზა".

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ივნისი

### სპარსეთი

**თეირანი.** კუმიდან კერეჯში 200 ბახტიარი მიდის. ესენი რევოლიუციონერებს შეუერთდებიან. თეირანში ყველაფერი შეჩერდა, აღარც ვაჭრობაა, აღარც სამინისტროები მუშაობენ და, ამას გარდა, მცხოვრებნი ქალაქიდან მიდიან. კაზვინელმა რევოლიუციონერებმა პროტესტი განაცხადეს ყაზახთა ბრიგადის ყველა რუს აფიცრების წინააღმდეგ. რევოლიუციონერებმა ყველაფერი ეს უცხოეთის საელჩოებს შეატყობინეს. შაჰის ჯარში რევოლიუციონერები დიდ აგიტაციას ეწევიან, უფრო ყურადღებას აქცევენ ყაზახთა ბრიგადას, რომელიც ყოყმანობს. აგიტაცია შაჰის წინააღმდეგ არის მიმართული. დიდი აგიტაციაა აგრეთვე რუსების წინააღმდეგ. რევოლიუციონერები უცდიან რევოლიუციონერ ეფრემას რაზმს, რომელიც 17 ივნისს უკვე წამოვიდა რეშტიდან და თან ზარბაზნები და სამხედრო მასალა წამოიღო. ჩამოვა თუ არა ეს რაზმი, რევოლიუციონერები მოქმედებას დაიწყებენ.

**თეირანი.** სეპეხდარი სამი რაზმით უახლოვდება კერეჯს. სარდარ ასადი კუმში გაჩერდა, სადაც ბახტიარებს უყრის თავს. კონსულების რჩევამ არ გასჭრა. ეს უკანასკნელნი უკვე დაბრუნდნენ ისპაჰანში. შაჰი სულტანაბადში მაგრდება.

### საზღვარ-გარედ.

**მესსინა.** 18 ივნისს დიდი მიწის ძვრა მოხდა. მიწა ორჯელ იძრა. თვითეული მიწის ძვრა 8—10 წუთს გაგრძელდა. დაინგრა სახლების კედლები. მცხოვრებნი ძალიან შეშინებულნი არიან.

**პიტსბურგი.** გაიფიცა 7000 მუშა. ყველა ესენი ტრედ-უნიონისტები არიან. „იუნაიტედსტეიტს სტილი კომპანიის" 190 ქარხანა დაკეტილია. ამერიკელ კომპანიების ქარხნებში თითქმის ყველგან მუშაობენ. გაფიცული მუშები ჟესტს ამუშავებდნენ.

**მარსელი.** კერძო გემების პატრონები ვერა შოულობენ მატროსებს. ამიტომ საფოსტო გემი არ გასულა ნავთსადგურიდან. „მესაჟერი-მარიტიმის" მატროსები მხოლოდ მაშინ შეუდგნენ მუშაობას, როდესაც გემის პატრონებმა თანხმობა განაცხადეს, აასრულონ 10 აპრილის ხელშეკრულობა. ამ ხელშეკრულობით გემების პატრონები მოვალენი არიან მატროსების ზედ-მეტ მუშაობისთვის ფული მისცენ. დანარჩენ გემების მატროსები გაფიცულები არიან.

**ლონდონი.** სიტის (სიტი ვაჭრების უბანია ლონდონში) კორპორაციამ დაადგინა, რუსის ხელმწიფეს, როდესაც იგი ინგლისში მივა, მიართვას ადრესი. ადრესი ოქროს კოლოფში იქნება.

**იორკი.** სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დეპუტატებმა დაათვალიერეს იორკის ტაძარი. დეპუტატებს ხელმძღვანელობას უწევდა ჰულის ეპისკოპოსი. ეს ტაძარი ერთი ძველ ტაძართაგანია და აშენებული გოტიურ სტილით.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა შეუდგა კომისიის მოხსენების განხილვას ფლოტის მდგომარეობის შესახებ.

**ბერლინი.** ქარიან ამინდის გამო ჰაეროსტატი „ცეპელინი პირველი" დროებით ბიბერახში დარჩება. ჰაეროსტატის გაფრენა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

რადგან პეტერბურგში კვლავ გაჩნდა ხოლერა, ბერლინის პოლიციის პრეზიდენტმა ბრძანება გასცა—რუსეთიდან ჩამოსულნი მოვალენი არიან დღე-ღამის განმავლობაში პოლიციას შეატყობინონ თავიანთი ჩამოსვლა. ვინც ამას არ აასრულებს, დააჯარიმებენ.

**კარდიფი.** გათავდა უელსის ქვანახშირის მადნებში მომუშავეთა გაფიცვა. მადნების პატრონები და მუშები შეთანხმდნენ.

**ჰამმერფესტი.** 15 ივნისს წყალმა გაარღვია აუზის ზღუდე. აუზში სამი მილიონი კუბიკური მეტრი წყალი იყო. წყალმა მოიტაცა სამი ხიდი, დაანგრია და ზღვაში ჩაიტანა სამი სახლი. 16 ივნისს გასქდა სათადარიგო წყლის მილი. ქალაქი ამ ჟამად უწყლოდ არის.

**ედინბურგი.** 17 ივნისს სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დეპუტატებმა დაათვალიერეს ქალაქის შესანიშნავი ადგილები. უნივერსიტეტში დეპუტატებს რუსეთის ეროვნულ ჰიმნით დაუხვდნენ. დეპუტატებმა დაათვალიერეს საკათედრო ტაძარი და სადგური ყოფილ შოტლანდიის პარლამენტისა, სადაც ეხლა სასამართლოა. მთავარმა მოსამართლემ ხომიაკოვი და გრაფი ბობრინსკი სასამართლოს მაგიდასთან მიიპატიჟა, სადაც ეს უკანასკნელნი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების შუა დასხეს. დეპუტატებმა დაათვალიერეს კოშკი, სადაც მარიამ სტიუარტი სცხოვრობდა და ხიდი, რომელიც სრუტეს ფორს-ბრიჯზეა გადადებული. დეპუტატებმა ისაუზმეს ჩემბერის სიტში. ლორდმა პროვოსტმა მეფე ედუარდის სადღეგრძელოს დალევის შემდეგ სთქვა, ჯერ კიდევ 1896 წელს, როდესაც რუსის მეფემ ედინბურგი ინახულა, ქალაქის თვითმმართველობამ სურვილი გამოსთქვა, რომ ინგლისი და რუსეთი დამეგობრებულიყვნენ. სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს წევრების ჩამოსვლა ჩვენი სურვილის პირველი განხორციელებაა. ვსვამ რუსის მეფის სადღეგრძელოს და გულწრფელად ვისურვებ, რომ რუსის მეფე ხშირად და ჩქარ-ჩქარა ჩამოსულიყოს ინგლისში. დამსწრეებმა და მუსიკამ შეასრულეს რუსული ეროვნული ჰიმნი. ამის შემდეგ ლორდმა პროვოსტმა დალია დეპუტატების სადღეგრძელო. ლორდ პროვოსტს პასუხი გასცა გრაფმა ბობრინსკიმ. მან სთქვა, საერთა-შორისო მშვიდობიანობის დასაცველად საჭიროა ინგლის-რუსეთის შეკავშირებაო. ზვეგინცევმა დალია სადღეგრძელო ქალაქ ედინბურგის და ქალაქის თვითმართველობისა და უსურვა კეთილდღეობა. გრაფმა პოტოცკიმ შოტლანდიის აყვავების სადღეგრძელო დალია. დასასრულ, ადგილობრივ ჩვეულებათა მიხედვით, დეპუტატებმა და შოტლანდიელებმა ხელი-ხელს ჩაჰკიდეს და რამდენიმე ეროვნული ჰიმნი შეასრულეს.

### რუსეთი

**მოსკოვი.** 18 ივნისს მოვიდა დიდი წვიმა და სეტყვა. მდინარე სინიჩკა ნაპირებიდან გადმოვიდა. ქალაქის დაბალი ადგილები წყლით აივსო.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ქარხნის რაიონსა, კაზინის და გორდეევის საზოგადოებასა, ბალახნინის მაზრასა და მოსკოვ-ნიჟნი-ნოვგოროდის რკინის გზაზე (ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში) განსაკუთრებულ წესების მაგიერ შემოიღეს გაძლიერებული წესები.

გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული კანონი. ამ კანონით თამბაქოს აქციზი ემატება. ეს კანონი მოიწონეს სახელმწიფო სათათბირომ და საბჭომ.

**ამურის-ნიკოლაევსკი.** ღამე ქალაქში მოჰკლეს 6 კაცი, მათ შორის ერთი ბავშვი. მოკლულები თათრები და ებრაელები არიან. მკვლელობის მიზეზი—გაძარცვაა.

**ჰელსინგფორსი.** სეიმმა მოიწონა კომისიის მიერ შემუშავებული ტექსტი ადრესისა. ადრესს ხელმწიფეს მიართმევენ. ადრესში სეიმი შუამდგომლობს, რომ შეიცვალოს ფინლიანდიის საქმეების მოხსენების წესი. ახალი წესი ფინლიანდიის საქმეების მოხსენებისა შემოღებულ იქნა 20 მაისის კანონით. ადრესში განხილულია ფინლიანდიის უფლებათა ისტორია. სეიმის აზრით მინისტრთა საბჭოს უკანასკნელი მოქმედებანი ფინლიანდიის უფლებებს არღვევს. სეიმის ეს კრება უკანასკნელი იყო, იგი საზაფხულო კანიკულებისთვის დაითხოვეს.

**ბლაგოვეშჩენსკი.** 17 ივნისს, საღამოს 11 საათზე, გუბერნატორის სახლის მახლობლად გასქდა ყუმბარა. დაიჭრა უცნობი. ჰფიქრობენ, რომ ამ უცნობს მოჰქონდა ყუმბარა. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

**ოდესსა.** სატეხნიკო საზოგადოებამ საბოლოოდ გადასწყვიტა, 1910 წელს ოდესაში გამართოს სამხატვრო-სამეურნეო გამოფენა.

**ნოვოჩერკასკი.** დონის შეს რაიონთან აღმოაჩინეს საფლავები და სახლები. ჰფიქრობენ, რომ ამ ადგილას ბერძენთა კოლონია ტანაისი უნდა ყოფილიყო. იპოვნეს ძველის-ძველი ხმლები, შუბები, ბრინჯაოსა და ოქროს მორთულობა და სახლში სახმარებელი ნივთები. ყველაფერი ეს პეტერბურგის საარქეოლოგიო კომისიაში გაჰგზავნეს.

**სამარა.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებად აირჩიეს ეფრემ ვასილის ძე პუსტოშკინი, უმაღლეს სწავლა მიღებული, მემამულე, თავად-აზნაურთა სამაზრო წინამძღოლად ნამყოფი, ოქტომბრისტი.

**პეტერბურგი.** დილით, სადგურ ბერეზნიკაზე დააპატიმრეს კუზმინი, მძარცველთა ჯგუფის წევრი. ეს ჯგუფი სავიცკის მეთაურობით მოქმედებდა. კუზმინმა პოლიციას დიდი წინააღმდეგობა გაუწია. კუზმინს აღმოაჩნდა ბრაუნინგი.

1910 წელს მოხდება სრულიად რუსეთის შინა მრეწველთა კრება. კრების ინიციატორობა ეკუთვნის რუსეთის მრეწველობის დამხმარებელ საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტს.

დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 94, გარდაიცვალა 19, მორჩა 29 კაცი. საავადმყოფოში 607 კაცია.

**სოსნოვიცი.** 17 ივნისს ბენდინის მახლობლად სამმა ბოროტ-განმზრახველმა სროლა აუტეხა. საერობო დარაჯს. დარაჯებმა მოჰკლეს ერთი, დანარჩენები მიიმალნენ.

**ვლადიმირი.** სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლებად თავად-აზნაურობამ აარჩია თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი ხრაპოვიცკი და პოკროვსკის სამაზრო წინამძღოლი მიკულინი.

**ეკატერინებურგი.** სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად აირჩიეს მრეწველებმა—ფადეევი, ვაჭრებმა—ბლაკაზოვი.

**ხარკოვი.** ქალაქის თვითმმართველობამ მოიწონა ხარკოვის სახალხო უნივერსიტეტის წესდების პროექტი.

**კიევი.** დაიხურა სრულიად რუსეთის ფერშალთა მეორე კრება. მესამე კრება შესდგება პეტერბურგში 1912 წელს.

## სტუდენტების [illegible]ერილი

ჩვენი მდგომარეობა და მოთხოვნილება.

მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იცის, რა მდგომარეობაშია ჩვენი სტუდენტობის უმეტესობა რუსეთში. თუ სიტყვა სტუდენტი და ნახევრად მშიერი სინონიმად გამხდარა, ამას ქართველ სტუდენტობაზე უფრო ნათლად ვერავინ ვერ დაგიმტკიცებთ. ზოგვერთმა შეიძლება, ეჭვით შეხედოს ამ აზრს და ბევრმაც სთქვას: „ეჰ, ეგ ხომ ახალი ამბავი არ არის, ძველიაო". დიაღ ძველია, რადგან ქართველი და სიმდიდრე აბა ვის გაუგონია, ვინ ჩვენ და ვინ სიმდიდრე! მაგრამ საქმე იმა-

შია, რომ ჩვენი სიღარიბეც დღეს გაორკეცდა: ეკონომიური კრიზისი ჩვენის ქვეყნისა და საყოველთაო რეაქცია მეტის-მეტად უმძიმებს ცხოვრებას ქართველ სტუდენტობის უმრავლესს ნაწილს: სხვებს რომ არ შევეხოთ და მხედველობაში მივიღოთ ის ბედნიერი თითო-ოროლა პირი, რომელთაც სისტემატიურად მოსდიოდათ ცხოვრების სახსარი, უნდა ვთქვათ, რომ მათ ნახევარი იმისა, რაც წინად მოსდიოდათ, აღარ მოსდით. ამას გარდა, წინად ქართველი სტუდენტობა თავის ხელ-მოკლე ცხოვრებას იმსუბუქებდა ეგრედ წოდებულ სათვისტომოების (ზემლიაჩესტვო) საშუალებით.

ამ სათვისტომოებს დიდი სამსახური გაუწევიათ, მაგრამ ბოლო დროს ორგანიზაციები კრიზისს განიცდიან: ჯერ ერთი, შვარცის სამინისტრო წინააღუდგა ყოველგვარ დაწესებულებას და წრეს სტუდენტთა შორის და სურს მოსპოს ყოველივე ლტოლვილებაც-კი. მეორე, სათვისტომოები თვით წევრებსაც ვეღარ აკმაყოფილებენ. დღეს ცხოვრება ცხადად გვეუბნება, რომ საჭიროა სათვისტომოს გადაკეთება და მისი დროს შესაფერად მოწყობა. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც სიტყვა ერი „დახავსებულ აზროვნების“ გამომხატველ სიტყვად მიაჩნდათ, როდესაც საკმაო იყო ამ სიტყვის მიკუთვნება ვინმესადმი, რომ იგი სიბრაზემდის მიგეყვანათ და გაგეფითრებინათ. ნაცია და სამშობლო რაღაც დუხრიჭად ეჩვენებოდათ. ერთის სიტყვით, შემუშავდა ატმოსფერა უცნაურ კოსმოპოლიტიზმისა და კოსმოპოლიტებისა. დღეს ამ სენმა უკვე განვლო, მაგრამ შედეგი მაინც დაგვიტოვა: სიგულგრილე და აბუჩად აგდება, ინდიფერენტიზმი ყოველივე ეროვნულისადმი.

წასული წლების ძლიერმა მაჯისცემამ შექმნა პარტიები, რომელთაც მთავრობის შემდეგ, ერთმანეთთან ბრძოლა თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ. დღეს დღეობით ამანაც განვლო. დღეს ისინი წინანდებურად თავ გამოდებით ერთი მეორეს აღარ ებრძვიან, მაგრამ ერთად ყოფნა და კულტურული მუშაობა მოუხერხებლად მიაჩნიათ (კულტურასაც-კი უმეტესობა პარტიულ თვალით უყურებს). ამიტომ სათვისტომო მათ არ აკმაყოფილებთ. გაჩნდნენ ჯგუფები, რომელთაც სრულებით არა სწამთ რაიმე კულტურული მუშაობა სათვისტომოში. ესენი აცხადებენ, ბევრად უფრო მოსახერხებელია კულტურული მხარე სულ მოვაცილოთ და მხოლოდ ეკონომიური ხასიათი მივცეთ სათვისტომოსო. მათი აზრით, ვისაც კულტურული მუშაობა სურს, შეუძლია სხვაგანაც იპოვოს ადგილი, რადგან ბევრ გვარი სხვა და სხვანაირი განმავითარებელი წრე არსებობს სათვისტომოების გარეშე. ყველა ეს საკითხი წამოაყენა დღეს ცხოვრებამ; ზოგს არ მოსწონს ეროვნული ელფერი, ზოგს კულტურული მუშაობა, ზოგს რა და ზოგს რა... ამ გვარად ჩვენი ძველებური სათვისტომო ირყევა, მაგრამ იმედია, რომ დრო შეათანხმებს და გამოარკვევს ამ უთანხმოებებს და საკითხებს. დანამდვილებით არას ვიტყვით, რა იქნება, მაგრამ ეს კი შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რაც უნდა მოხდეს, რა ცვლილებაც უნდა განიცადოს ჩვენმა სათვისტომოებმა, მათ სტუდენტობის ცხოვრების მატერიალურ მხარეზე ზრუნვა მაინც შერჩებათ; შერჩებათ იმ დრომდე, სანამ ქართველი სტუდენტობა მატერიალურად უზრუნველ ყოფილი იქნება. ეს კარგად ესმის სტუდენტობასაც, რომელმაც ამ ბოლო დროს ყურადღება მიაქცია სათვისტომოების კასსების შევსებას და გაღონიერებას.

ამ აზრს დაადგა კიევის სტუდენტობაც. ალბად გეცოდინება, მკითხველო, რომ ერთი წლის წინად, კიევის უნივერსიტეტში არეულობა მოხდა. გამოყარეს თითქმის მთელი ქართველობა, ბევრი მათგანი ეტაპით აქეთ-იქით დაგზავნეს. ამ არეულ დროს ჩაიფუშა ჩვენი სათვისტომოს საქმეებიც და კინაღამ თვით ამ ორგანიზაციის სულის თქმაც შეწყდა. მაგრამ წელს გადავწყვიტეთ, გვეხმარა უკანასკნელი ღონე და აღვადგინა სათვისტომო. გვჭირდებოდა ფული. ვიფიქრეთ ქართულ საღამოს გამართვა და კიდევაც გავმართეთ ცხრა დეკემბერს, მაგრამ ამ საღამომ თერთმეტი თუმნის ზარალის მეტი არა დაგვიტოვა რა. ამან, რასაკვირველია, უფრო დაგვაქვეითა. მოხდა კრება, რომელმაც ვალების დასაფარავად და კასსის სულის მოსაბრუნებლად აუცილებელ საჭიროდ სცნო მიმართოს შემდეგს საშუალებას: 1. წევრთა გადასახადს; 2. საპატიო წევრთა ყურადღებას და 3. **ძველ ჩვენ მოვალეებს.** პირველი ორის საშუალებით კასსაში უკვე შემოვიდა ცოტაოდენი ფული, იქაურმა ქართველმა საზოგადოებამ დახმარება აღმოგვიჩინა: ზოგმა ერთჟამიერად მოგვცა თავისი წვლილი და ზოგმაც აღგვითქვა თვიური დახმარება. აქ, სამშობლოში კი, აზრადა გვაქვს მივმართოთ თხოვნით კიევის ქ—ლ სათვისტომოსაგან საპატიო წევრებად ამორჩეულ პირებს და იმედი გვაქვს, აღმოგვიჩენენ შესაძლებელ დახმარებას.

დასასრულ, **მივმართავთ ყველა ჩვენს ძველს მოვალეს და ვთხოვთ,** რადგან ისინი უკვე მორჩენ სტუდენტის გაჭირვებულ ცხოვრებას, **ერთად ან წვრილად შემოიტანონ მათზე დარჩენილი ვალი** და მით მისცენ ცხოვრების საშუალება ბევრ ხელ-მოკლე ქართველ სტუდენტს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოვალენი ყურადღებას მიაქცევენ ჩვენ თხოვნას და მოიგონებენ, რას ნიშნავს სტუდენტის შიმშილი.

თუ ვინმე მოისურვებს ფულის ან წერილის გამოგზავნას ოც მარიამობისთვემდის, ადრესი ამ გვარი იქნება: Кутаисъ. Переулокъ Инженерной улицы, Николаю Павловичу ст-ту Копалейшвили; შემდეგ კი გამოიგზავნება ასე: Кіевъ. Почта, до востребованія, ст-ту Григорію Георгіевичу Абдушелишвили.

უმორჩილესად ვთხოვ სხვა გაზეთებსაც ამ წერილის გადაბეჭდვით მოგვცენ საშუალება ვაცნობოთ ჩვენს მოვალეებს ჩვენი მდგომარეობა და მოთხოვნილება.

სტუდ. ლორთქიფანიძე.

**„დროების“ ხვალინდელ „სურათებიან დამატების“ შინაარსი: „სოვდაგარი“, მოთხრობა ბარნოვისა; წვრილი ამბები; სურათები; „ძველ-მოქმედება“, ქანდაკება ლიუმესი. ნიკოლოზ ცხვედაძე; მიწის ძვრა სამხრეთ აფრიკაში (ორი სურათი), მფრინავი ხომალდი ცეპელინისა (ორი სურათი).**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**✦ მირზოევის სტიპენდიები.** ტფ ქალაქის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე, სხვათა შორის, განიხილა მოხსენება მირზოევის სტიპენდიების შესახებ. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, მირზოევმა კარგა ძალი ქონება დაუტოვა ტფილ. ქალაქის თვითმმართველობას. ამ ქონების ყოველ წლიურ სარგებლით უნდა დაარსდეს მირზოევის სახელობის სტიპენდიები. ანდერძით სტიპენდია უნდა დაენიშნოს უმაღლეს სასწავლებლის 90 მოსწავლეს. აქედან სტიპენდია მიეცემა 12 ქალს და 78 ვაჟს. 12 ქალიდან 6 სომეხ-გრიგორიანი უნდა იყოს, 4 სხვა ქრისტიან სარწმუნოების მოსწავლე და 2 მაჰმადიანი ქალი. ვაჟების 78 სტიპენდია ასე უნდა განაწილდეს: 35 სტიპენდია უნდა სომეხ-გრიგორიანის სარწმუნოების მოსწავლეს, 10 სტიპენდია ქართველებს, იმერლებს (ასეა ანდერძში აღნიშნული), მეგრელებს, გურულებსა და კავკასიისა და ამიერ კავკასიის მკვიდრ სხვა მართლ-მადიდებელ მცხოვრებთ. 4 სტიპენდია ამიერ კავკასიაში დაბადებულ რუსთა შვილებს, 4—პოლონელებს, 2 სტიპენდია—რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ საფრანგეთის ქვეშევრდომებს და 4 სტიპენდია—რუსეთის ქვეშევრდომებს ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, ხოლო კავკასიაში არ დაბადებულთ და აღზრდილთ. ვისაც სტიპენდია დაენიშნება, არ მოესპობა სწავლის დამთავრებამდე. სტიპენდიების განაწილება ანდერძით მინდობილი აქვს მოანდერძეს ელისაბედ მირზოევისას, რომელიც ვალდებულია უფრო გაჭირვებულებს დაუნიშნოს სტიპენდიები. ეს უფლება იმის შემდეგ გადავა იმის ქალზე მინა მინუვის ასულზე, ხოლო ამის შემდეგ ქალაქის თავზე. კარგა ხანი გავიდა, რაც ეს ანდერძი იქნა, დატოვებული, მაგრამ დღემდე თავი ვერ მოუყრიათ მთელ ქონებისთვის და ვერ შესდგომიან ანდერძის განხორციელებას. როგორც ამას წინად საბჭოს მოხსენდა, ბევრი ფასიანი ქაღალდი იმიტომ არ იქმნა განაღდებული, რომ ბირჟაზე კურსის აწევას უცდიდნენ. ჯერ ფულად არ უქცევიათ არც ნივთები და არც მამულები. ამ ჟამად თავმოყრილია მხოლოდ თანხის ერთი ნაწილი, რომელიც იძლევა 30,000 მანეთს და რომელიც საკმაოა 15-მდე სტიპენდიისთვის. საბჭომ დაადგინა კიდეც 15 სტიპენდიის დანიშვნა მომავალ სამოსწავლო წლიდან. თითოეულ სტიპენდიანტს მიეცემა 300 მან. ანდერძით ორი სტიპენდია ქალსა და ერთი ვაჟს დაენიშნებათ უსათუოდ ქ. ტფილისის მცხოვრებთ.

**✦ ახალი გადასახადის პროექტი.** მკითხველებისათვის ახალი ამბავი არ არის ქალაქ ტფილისის თვით-მართველობის კასსის გაჭირვება. ქალაქის სისუფთავეზე ზრუნვა თითქმის შემთხვევით საქმედ არის გადაქცეული. ჩვენი ქალაქის კეთილის მყოფელნი მაშინ ახმაურდებიან, როცა ხოლერა ან სხვა რამ ასეთი სენი შემოიპარება ხოლმე. ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა ახალი საშუალება გამოიგონა ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სტეფანოვმა ამას წინად მოხსენება შეიტანა ქალაქის გამგეობაში ტფილისის მცხოვრებლებზე ყოველ წლიურ გადასახადის დაწესების შესახებ. თითო კაცს, განურჩევლად მდგომარეობა და შეძლებისა, 1 მან. 50 მან. უნდა გადახდეს წლიწადში და ეს თანხა უკლებლივ უნდა მოხმარდეს ქალაქის დასუფთავებასა, მორწყვასა და საზოგადოდ სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებას. სტეფანოვის გამოანგარიშებით, ამ რიგად შეიძლება მოიკრიბოს 390,000 მან. ეს პროექტი ამას წინად განიხილა ქალაქის გამგეობისა, საფინანსო და ჯანმრთელობისათვის მზრუნველ კამისიების შეერთებულმა სხდომამ, მოიწონა იგი და დაადგინა, წარედგინოს განსახილველად ქალაქის საბჭოს.

**✦ ილიას საღამოები.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ქართველ ქალთა წრემ უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, რომ სააგარაკო ადგილებში ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად სალიტერატურო საღამოები გამართოს ხოლმე ილიობა დღეს, 20 ივლისს. ქალთა წრის ცენტრალურმა კომიტეტმა შესაფერისი განკარგულება მოახდინა, რომ ეს დადგენილება შესრულებულ იქმნეს ბორჯომსა, ბაკურიანსა, სურამსა და ყველა იმ სააგარაკო ადგილში სადაც ხალხი ზაფხულობით თავს იყრის. როგორც გვატყობინებენ ქარელსა და სურამში უკვე შესდგომიან სამზადისს 20 ივლის სალიტერატურო საღამოების გასამართავად.

**✦ დაპატიმრება.** „ბაქოს“ გაზეთების სიტყვით, ქალაქ შუშაში დაუპატიმრებიათ სომხის მღვდლები იოანესიანცი, კარაპეტიანცი და ახუმიანი. მათ „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის წევრობას აბრალებენ.

**✦ მონასტრის გაცარცვა.** „ტერეკის“ სიტყვით, კავკავის მახლობლად, ვიღაცეებს გაუცარცვიათ „სტაროობრიადცების“ მონასტერი.

**✦ ძველი წიგნები.** გუშინ გიორგი ფერაძემ წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას შესწირა კახეთში მოპოვებული 15 ცალი სხვა და სხვა ძველი ხელთ-ნაწერი და გუჯარი. ამ ძველ წიგნებთა შორის არის 1712 წელს სტამბაში დაბეჭდილი სახარება.

**✦ ი. ზუბალაშვილის შეკითხვა.** ხმონინად ნამყოფს, ტფილისში კარგად ცნობილ ი. ზუბალაშვილს განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში. ეს განცხადება შეეხება იმ ფულს, რომელიც 1898 წელს გარდაცვლილ ნიკოლოზ ზუბალაშვილს შეუწირნია ქალაქისთვის. ბ-ნ ი. ზუბალაშვილის ანგარიშით, ამ შეწირული ფულისა იყო სულ 354,384 მანეთი. აქედან ქალაქს შეუძლოთა სახელზე (რისთვისაც ფული იყო შეწირული) დაუხარჯნია 134,000 მან. უნდა იყოს დარჩენილი 219,384 მ., ქალაქის გამგეობის ქაღალდებიდან კი დარჩენილად სჩანს [illegible] 120,000 მანეთი [illegible] 99,584 მანეთი [illegible] ეკითხება ქალაქის გამგეობას, [illegible] იქმნა და რას მოხმარდა ეს ფული (ზ.

**✦ სიკვდილის გადაწყვეტა.** კავკასიის სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა მიკუტიშვილს, რომელსაც ჰბრალდებოდა სხვებთან ერთად ქვათა-ხევის მონასტერზე თავდასხმა, გაცარცვა მონასტრის და წინამძღვრის ნიკიფორეს მოკვლა. ეს ამბავი შარშან 6 სექტემბერს მოხდა.

**✦ გარდაცვალება.** 17 ივნისს გარდაიცვალა ამიერ-კავკასიის რკინის გზის საკომერციო ნაწილის უფროსი ი. სემენენკო.

**✦ სეირნობა, კონცერტი და წარმოდგენა.** პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართულ სამეცნიერო წრის სასარგებლოდ დღეს, 20 ივნისს, თავად-აზნაურთა საზაფხულო თეატრში გაიმართება სეირნობა, კონცერტი და წარმოდგენა. იმედია, ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრობა ამ საღამოს და ამით ხელს შეუწყობს ამ წრის მიერ დაწყებულ საქმის შესრულებას. საღამოს დიასახლისად იქნება კნ. ელისაბედ ერეკლეს ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა.

**✦ ფულის გადადება.** მიწათმოქმედების დეპარტამენტმა შეიწყნარა კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა და ტფ. საბაღოსნო სკოლის ვალების გასასტუმრებლად გადადო 2000 მანეთი. ამავე დეპარტამენტს საზოგადოების სამეურნეო გაზეთის გამოსაცემად 1910 წელს 1,500 მანეთი გადაუდვია. კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ერთი სხვა შუამდგომლობაც აღძრა, იგი თხოულობს 3000 მანეთს სტატისტიკის საქმის მოსაწყობად საზოგადოებასთან.

**✦ კატორღა 16 წლით.** კავ. სამხედრო სასამართლომ 16 წლით კატორღა გადაუწყვიტა ოლიმპი ცინცაძეს (ნამდვილი გვარი ამისი ვერ გაიგეს, რადგან იგი ორ სხვა გვარსაც ირქმევდა—ავქსენტი გარსიაშვილს და ისიზი ბოლქვაძეს). მკითხველებს ეხსომებათ, რომ შარშან, 20 ივნისს, კოჯრის გზაზე დუქანთან ვიღაცები თავს დაესხნენ ფოსტას და მოჰკლეს ერთი ფოსტალიონი, ხოლო მეორე ფოსტალიონი და მეეტლე დასჭრეს. ცინცაძეს ხსენე-

# საცინელი რა გვაქვს?

(შემდეგი *)

ამ წერილში მე მეპრესსეს კი არ ვეკამათები, არამედ მთელ იმ მიმართულებას, რომელსაც ჩვენში მოუკიდებია ფეხი და რომელიც მე სწორედ მთელი ერის ერთი ნაწილის აზროვნებისა და შეგნების გადაგვარებად მიმაჩნია. მეპრესსე მხოლოდ მიზეზია, მან მომაგონა ძველი, არა ერთხელ ჩემი ნალაპარაკევი, და კიდევ მსურს საუბარი ამ საგანზედ.

ჩვენი ტირილი მარტო ტირილი არ არის, გოდება უმიზეზო და უმნიშვნელო. ჩვენი ტირილი უფრო რთული გრძნობისიგან არის გამოწვეული, ვიდრე ეს ჩვენ მოწინააღმდეგეებს ჰგონიათ. ჩვენი ტირილი —მთელი ქართველ ერის ტრაგიკულ მდგომარეობის ნაყოფია, და ცრემლი გვდის არა იმიტომ, რომ გვეხალისება ტირილი და მწარე გრძნობათა შემსუბუქება, არამედ იმიტომ რომ ვხედავთ უბედურებას, რომელიც დაგვატყდა უკვე თავს და გვიღრღნის გულ-ღვიძლსა. ჩვენთან მოკამათე ამას ვერა ჰგრძნობს, რადგან მას ერის სიკვდილი არაფრად მიაჩნია; მისთვის ერი უბრალო მასალაა, შემადგენელი მომავალ, პრობლემატიურ კაცობრიობისა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს უნდა მოსპოს თვით ცნება ეროვნებისა და გაჰქნას იგი საერთო კაცობრიობის ცნებაში; ჩვენთვის კი ერი ცოცხალი ორგანიზმია, რომლის უჯრედსაც შეადგენს პიროვნება. გარეშე რომელიმე სოციალურ ორგანიზმისა პიროვნება—ფიქციაა; ყოველი პიროვნება ეკუთვნის განსაზღვრულ სოციალურ ორგანიზმს, რომელიც არის სხვა და სხვა ფორმისა; ერთი ამ ფორმათაგანი ერია, და ის ინდივიდი, რომელიც ერის დაღუპვას არა ჰგრძნობს და არა სტირის, მაშასადამე, თავის საკუთარ რთულ-სოციალურ პიროვნების დაკარგვასა და მოსპობას,—მართლაც ან დეგენერანტია და ან სტყუის, ნებსით თუ უნებლიეთ, ან გრძნობასა მალავს და გონებით გაუწყებს სიცრუეს, ან რასაც ჰგრძნობს, იგი გონებით ვერ გადმოუცია და დაბნეულად მსჯელობს. ჩვენი ს.-დებიდგან ზოგი სტყუის,—გრძნობით სწორედ „ნაციონალისტია“ და არ ამხელს,—ზოგი დარწმუნებულია, რომ თავის მოქმედებით ერს სამსახურს უწევს, ზოგიც ნამდვილი დეგენერანტია,—ვერასა ჰგრძნობს, რადგან მის სოციალურ რთულ (**ეროვნულ**) პიროვნების განვითარება ერთობ დაბალ საფეხურზედა სდგას.

ასეთი ტიპები ჩვენში სწორედ **ქართულ** საზოგადოებრივობის გადაგვარებამ და სიდუხჭირემ დაჰბადა, თორემ სად არ არის ს.-დემოკრატი, და ჩვენებს კი არ ემსგავსება!

განვიმეორებ, საქმე „ს.-დემოკრატებში“ კი არ არის, არამედ „**ქართულში**“. როდესაც ვამბობთ: **ქართველი სოციალ-დემოკრატი**, სიტყვის მეორე-ნახევარს კი არ უნდა მივაქციოთ ყურადღება — ს.-დ-ტს, არამედ, უმთავრესად, პირველ-ნახევარს,—**ქართველს**, რადგან მეორე ნახევარი აღნიშნავს განსაზღვრულ მოძღვრების მიმდევარს, პირველი კი მთელი ერის, საუკუნოებით მცხოვრებ კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმის წევრობას, რომელსაც ორიათას წელზე მეტი მემკვიდრეობით ეცემა ათასგვარი თვისება, და რომელსაც ერთი რომელიმე მოძღვრება, ისიც არა რელიგიური, მაგრე რიგად ვერ გარდაჰქმნის, მით უმეტეს რომ მისი სენი მემკვიდრეობითი კი არა, არამედ კეთილ-შენაძენია.

ს.-დ იულ აზრის დეგენერაცია ჩვენში ერთი მხარეა აზრის დეგენერაციისა. ეს უკანასკნელი კი, ერთი მხარეა საზოგადოდ ეროვნულ ცხოვრების დეგენერაციისა. აბა მიჩვენეთ, მართლაც, ერთი მართლ-მორწმუნე სოციალ-დემოკრატი ჩვენში, რომ თავისივე მოძღვრება სწორედ გაეგოს, ნამდვილად გამოეყენებინოს მარქსიზმი ჩვენი ცხოვრების დაფასებაში. პირიქით, ვინ იცის, რა სისულელეები არა როშეს ეს მარქსის სახელით! მარქსის პრინციპი „კლასსთა ბრძოლისა“, მისი „პროლეტარული თვალთა-ხედვა“, მისი „ეკონომიური მატერიალიზმი“ ისე ვულგარულად გამოიყენეს, ისე გადაამახინჯეს, რომ მართლაც თუ არის მათსავე შორის ვინმე გონებით აღსავსე, ალბად ეზიზღება თავისი „აფხანიკების“ ფილოსოფია და ყურებამდის წითლდება სირცხვილითა!

ჩვენში სოციალ-დემოკრატიიზმი—ნეგრებში შეტანილ ქრისტიანობად გახდა. ნეგრიც ქრისტიანია და რომელიმე ინგლისელი ეპისკოპოსიც, მაგრამ აქაო და ორივე ქრისტიანიაო, მოდი და ერთსა და იმავე საფეხურზე დააყენე ეს ორი სრულიად სხვა და სხვა სოციალურ ცხოვრების ნაყოფი!

პირადად კი ჩვენი მეპრესსე რა უნდა იყოს, როცა თვით დიდი „ანები“ ფილოსოფოსებენ ისეთ ნაირად, რომ მარქსი და ენგელსი რომ გაკოცხლდნენ, „მეუდაბნოესა და დათვის“ არაკს ეტყოდენ მადლობის მაგივრად.

ეს კი ჩვენ გვასწავლის ჰკუასაც სოციალიზმსაც და სულელურ აზრთა და პროექტთა გამოთქმას გვიშლის. ეჰ! ჭკუისა და აზრის კონტროლი რომ არსებობდეს, მართლაც ესენი უნდა წამოესკუპებინა კაცს დამნაშავეთა სკამზედ და მგონი საუკეთესო ვექილებიც ვეღარ იხსნიდნენ ციმბირისაგან.

დიახ, მე დირწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ერს საფრთხე მოელის. მისი **საზოგადოებრივობა** გადაგვარების გზაზეა, ავადმყოფია. ესა სთქვა Bàton-მა „აღსრულდაში“ და იგი არც ეხლა უარჰყოფს თავის შეხედულებას. ალბად ბ-ნ მეპრესსეს არ წაუკითხავს „აღსრულდა“, თორემ დაინახავდა რომ „სავსებით იმედ დაკარგული“ ავტორიარც მაშინ იყო. იმედის დაკარგვა არც მაშინ შეიძლება, როდესაც ერთი საშუალება აღარ დარჩენია ერს თავის საზოგადოებრივობის აღსადგენად. არცBàton-ს უთქვამს და არც მე ვამბობ. თვით მეპრესსე არ მეუბნება—ომს ქადაგებო! კარგი იმედი მქონია, თქვენმა მზემ, თუ ორ სახელმწიფოს მინდა ერთად შევებრძოლო! მაგრამ ამ ლათაიაზე შემდეგ...

როგორც წინად Bàton-ი ამბობდა, ეხლა მეც ვამბობ, რომ ერი არის კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, რომელსაც განვითარებაც შეუძლიან, გადაგვარების გზაზე დადგომაცა და სიკვდილიც. სულ სხვა საკითხია, რა მიზეზითაც გამოიწვევა ეს მოვლენები. ერის მთლიანი ცხოვრება განიხილების, როგორც მთლიან სოციალურ ორგანიზმის ცხოვრება, და ამ ორგანიზმს ყოველთვის შეგვიძლია შევნიშნოთ ჯან-საღობა, ან ავადმყოფობა. ამისათვის საჭიროა ანალიზი მის შემადგენელ სპეციალურ ორგანიზმთა. სოციოლოგთა კლასსიფიკაციით, Bàton-მა აღნიშნა უმთავრესი შვიდი სოციალური მოვლენა საზოგადოების ცხოვრებაში, აგრეთვე ხალხი, ენა და ტერრიტორია. როცა განიხილა საგანი, არ შეეძლო არ აღენიშნა, რადგან შეუძლებელია არ აღენიშნა, არ არსებობა საქართველოს პოლიტიკურ ორგანოთა, იურიდიულ ორგანოთა, ეკლესიის დაცემა, მეცნიერების არ არსებობა, მწერლობის და ხელოვნების დაცემა (შეიძლება მეპრესსეს ჰგონია პირველი მწერალი ჯერ „ანი“ და მერე თავისი თავი. ამაში მას ვერ დავეთანხმებით საუბედუროდ), ზნეობრივი სისუსტე ჩვენი ხალხისა, რომელიც მრავალი სახით გამოიხატება, ეკონომიური დაქვეითება, განუვითარებლობა მრეწველობისა და ვაჭრობისა ქართველთა შორის, პირველ ყოფილი მეურნეობა საქართველოს უმეტეს ნაწილისა და სხვა; აგრეთვე შერყვნა ენისა, დაკარგვა ტერრიტორიისა თან და თან,—სხვა ელემენტთა გადმოსახლებით, მთავრობის პოლიტიკით, ჩვენის დაუდებრობითა და სხვ. Baton-მა აღნიშნა და მეც აღვნიშნავ ეხლაც, რომ თვით ხალხია გადაგვარების გზაზე დამდგარი, რადგან ღატაკია, არა აქვს აუცილებელი სახსარი ცხოვრებისა, მუდამ შიმშილს განიცდის, ძალა-გამოლეულია და ათას გვარი ავადმყოფობა ანადგურებს. ერთი სოფლის ექიმებსაც ჰკითხეთ, მარტო ტუბერკულოზი რამდენს გლეხის ოჯახს ანადგურებს! ერთი მაზრის მარშლებსა და ექიმებს ჰკითხეთ რასა ჰგავს მრავალ სოფელში უმეტეს ნაწილი სალდათად გაწვეულ ჭაბუკთა, რა ზომამდის მიუყვანია მისი ჯან-საღობა მალარიასა და სხვა ისეთ სნეულებას, რომელიც ადვილი მოსასპობია, რომ ხალხს შეეძლოს გაუმჯობესება ჰავისა ჭაობების ამოშრობით, წმინდა ცხოვრება და არა სიბინძურეში ჭლექის ბაცილებიც ფილტვების კვება, და სხვა.

მართლაც და, სწორი სტატისტიკა რომ არ არის ამ მოვლენათა **რაოდენობით** გამოსაკვლევად, აქედან ის გამოდის, რომ **არსებითადაც** არ შეგვიძლია მათი ხილვა და აღნიშვნა?

ჩვენ ავიღეთ და შევადარეთ აგრეთვე ძველი საქართველო ახალ საქართველოსთან და ვსთქვით, რომ თვით სივრცე და სიდიდე ჩვენი განახევრებულია. და ეს პროცესსი მეცხრამეტე საუკუნეშიაც გრძელ-

*) იხ. „დროება“, N 134

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ თავდასხმაში მონაწილეობა ჰბრალდებოდა.

✦ ტფ. გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დააჯარიმა მესარდაფე ვლადიმერ ფოხხიძე 10 მან., ივანე მაიმშელაშვილი 25 მან. და მედროგე [illegible] ალავერდოვი 25 მან.

● 18 ივნისს პოლიციის მე-3 ნაწილში დააპატიმრეს ადმინისტრატიულის წესით საგენერალ-გუბერნატოროდან გაძევებული და თავის ნებით ტფილისში დაბრუნებული ივანე ზურაბოვი. ამავე დღეს დააპატიმრეს ამ გვარადვე დაბრუნებული ტფ. მცხოვრები მიხეილ თათულოვი; დააპატიმრეს აგრეთვე ალექსანდრე ბოდოშვილი.

✦ **უპასპორტონი.** ჩხრეკის დროს პოლიციის მე-8 ნაწილში დააპატიმრეს 6 უპასპორტო კაცი.

## მოწერილი ამბები

**თელავი.** ხალხი მოჯგემატა, როგორც ყოველთვის, ზაფხულობით და ჩვენი ქალაქი გამოცოცხლდა. აფუსფუსდა ჩვენი ბულვარი და კლუბი. დიახ, მტვერ-ბუქიანი ბულვარი ან ესრედ წოდებული ბაღი (თუმცა სახელისა არაფერი აცხია) სავსეა მოსეირნეებით, ამავე დროს თელავის სახელგანთქმული ნადიკვარი ცარიელია. ნადიკვარი მოუწყობელია, მაგრამ ქალაქი ყურადღებას არ აქცევს. პირ-იქით, ქალაქმა ის დიდი ფარანიც-კი მოჰგლიჯა და სხვაგან გადაიტანა, რომელიც ნადიკვრის მხარეს იდგა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ფარანი თელავს გარდა კურდღლაურის „დანასაც" ანათებსო...

ამ თვის პირველ რიცხვებიდან ტფილისიდან ომნიბუსების ნაცვლად თელავისკენ ავტომობილი დადის გომბორამდე: შემდეგ-კი თელავამდე ისევ დილიჟანებით მოდიან მგზავრები. ეს, რასაკვირველია, ცოტათ მაინც ასუბუქებს მგზავრობას, მაგრამ რაც ავტომობილი დაიარება, გაზეთები აღარ მოდის, არ ვიცი რა მიზეზით: ავტომობილი ვერა სძრავს, თუ ტფილისიდან არა ჰგზავნიან. მართლა, ყ.-გაზეთებს არც წინად იტაცებდნენ. ძალიან ბევრს, დღეში, სულ 20—30 ცალი მოდიოდა და ისიც არ ჰყოფნიდა; ისე რომ ყ.-გაზეთების კანტორა ხარჯს ვერ ასდიოდა, მაგრამ საქმე ის არის, ერთი კვირაა არც ეს მადის და თელავი მართლაც მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყნიერებას.

სწავლა თელავის ყველა სასწავლებელში გათავდა. წელს აქედ დიდები სალიტერატურო განყოფილებით არსად გამართულა, გარდა სომეხთა წმ. გაიანეს სკოლისა, რომელმაც ბევრი ხალხი მიიზიდა.

10 ივნისს ს. ძველგავაზის მღვდელს დ. გიუნაშვილს თელავის ხაზინიდან მიუღია 900 მან., ძველ გავაზის წვრილ კრედიტის ამხანაგობის ფული, რომელიც მსესხებელთათვის უნდა დაერიგებინათ. ხაზინაში ფული უბეში შეუნახავს და ფოსტაში წასულა, გზაზე საფულე ფულით ქამარ-ქვეშ ჩაცურებულა თურმე და დაჰკარგვია.

15 ივნისს თელავის სასულიერო სასწავლებელში დაიწყო ამ სასწავლებლის თელავ-სიღნაღის სამღვდელოების დეპუტატთა კრება. უნდა განიხილონ სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა საკითხები.

**დავიწყებული.**

—

**კავკავი.** 7 ივნისს თეატრის დარბაზში მოხდა წლიური საზოგადო კრება ამ ჟამად უკვე წვრა-კითხვის საზოგადოება ადგილობრივ განყოფილებისა. ამოირჩიეს გამგეობა, სარევიზიო კომისია, განხილულ იქმნა გასული წლის ხარჯთ-აღრიცხვა და ანგარიში. ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ კეთილს და არასასიამოვნო მხარეებს კრებისას. არასასიამოვნო ის იყო, რომ უმეტესობას ქართული ენის კოჭლობა ეტყობოდა და კრებას წევრების ნახევარზე მეტი არ დაესწრო სასიამოვნოა, რომ სხდომამ დინჯად და მშვიდობიანად ჩაიარა და საქმეც გაკეთდა. მოხსენებიდან სჩანს, რომ მოუხედავად ბავშვთა სიმრავლისა კლასებში, რაიცა მეტად აფერხებს მასწავლებლის ნაყოფიერ შრომას, მაინც მოსწავლეთა სწავლაში წარმატება გამოიხატება 80%. დიდი წარმატება ეტყობა აგრეთვე ახლად დაარსებულ ქალთა პროფესიონალურ სკოლას. ბ-ნ თავმჯდომარის სიტყვით, სკოლას ოთხას თუმან ვალიდან ამ ჟამად მხოლოდ ასათ თუმნამდე დარჩენია გადასახდელად. სკოლას, თეატრს, ქალთა სახელოსნოს, საყდარს, ბაღს და სხვა საქმეს ხელს უწყობენ და ეხმარებიან პერძო პირები. სამწუხაროდ, ხელთ არა გვაქვს ყველა ის ცნობა და ფაქტი, რომელიც სკოლის საქმეს შეეხება. იმედია, ბ-ნი თავმჯდომარე კეთილ ინებებს და გამოაქვეყნებს ამას და აღგვიწერს კავკაველ ქართველთა საერთო ეროვნულ საქმის ვითარებას. კავკავის სკოლა დიდი სკოლაა, კავკაველ ქართველების საქმე რთული დიდი საქმეა. ამიტომ საფუძვლიანი და ყოველ მხრივი მისი აღწერა მკითხველ საზოგადოებისთვის საინტერესოა.

კავკაველმა ქართველებმა, ბ-ნ შიოლიევის ინიციატორობით, შესცვალეს საორგანიზაციო წესი. წინად ქართველ საზოგადოების გამგეობა შესდგებოდა 7 კაცისაგან. ესენი უმეტეს ნაწილად ინტელიგენცები იყვნენ. ეხლა გამგეობის წევრთა რიცხვი გაადიდეს 25-მდე. ამათში 7 ამოირჩიეს 7 ივნისის კრებაზე და დანარჩენი არჩეულნი იყვნენ ცალკე წოდებების ან უბნების მიერ: ხელოსნებმა აირჩიეს 3, ნოქრებმა-1, მეპურეებმა-3, წვრილმა ვაჭრებმა, სარდაფის მუშებმა და სხვათ ცალკე. ამ წარმომადგენლებს უბნებისას და ცეხებისას გამგეობაში სხვა წევრებთან ერთად სრული თანასწორი უფლება ენიჭებათ. უფრო ცალკე წესის წარმომადგენელი თავის ცეხის სურვილსა და გულის ნადებს გაუზიარებს გამგეობას. მეორეს მხრით ამათ უფრო მეტი გავლენა ექნებათ ამხანაგებზე.

ერთი სიტყვით, ეს გარემოება, ესე მოწყობილი საქმე, ერთი ათად უფრო გამოაცოცხლებს აქაურ ქართველობას და გაუღვიძებს მათ საზოგადოებრიობის გრძნობა-შეგნებას. თუ ეს წესი მტკიცედ იქნება დაცული, მომავალში დიდ წარმატებას უნდა მოველოდეთ. კავკაველი ქართველები, სხვათა შორის, ფიქრობენ, ექვს კლასიან სკოლის დაარსებასაც.

ამას წინად ადგილობრივ ესპერანტისტების საზოგადოებას ქალაქ ბარცელონიდან (ესპანია) ერთ ქართველისაგან მოუვიდა პატარა წიგნაკი სათაურით „Fra lo monto per Esperanto"—მთელი ქვეყნის მოვლა ესპერანტოს საშუალებით". ამ წიგნაკში დექსითაა აწერილი ავტორის, ბ-ნ წიკლაურის, მთელ ევროპაში მოგზაურობის დროს არაჩვეულებრივი თავგადასავალი. ბ-ნ წიკლაური გუდამაყარ-არაგვის ხეობელია. იგი თავის და უნებურად იძულებული გამხდარა რუსეთს განშორებოდა. შარშან წიკლაური გამოსულა აღმოსავლეთ რუსეთიდან მოძღვრის ტანისამოსში გამოწყობილი, გაუვლია მთელი რუსეთი და მისულა დანიაში. აქედან, უმეტეს შემთხვევაში ფეხით, მოუვლია ევროპის ბევრი სახელმწიფო, ამასთან სრულებით უსახსროთ—„არც ერთი გროშით, მხოლოდ მშვენიერ იმედით"-ით და საერთაშორისო ენის ესპერანტოს საშუალებით. უოფილა შვეციაში, დანიაში, ინგლისში. გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში და ეხლა ესპანიაშია გზაში ბევრი განსაცდელი და გაჭირვება გამოუცდია, „ხან და ხან თითქმის იმედიც მეკარგებოდაო". ყველგან თურმე ესპერანტისტები დიდის სიხარულით ჰხვდებოდნენ და დახმარებას უწევდნენ. მოგზაური სთხოვდა ლექსებს და ამით თავს გაჭირვებისაგან იხსნიდა. მის ლექსად დაწერილ ამბებს რომ კითხულობ, აგონდება გურამიშვილის „დავითიანის" ზოგიერთი ადგილი. პირველად პარიზში გამოუციათ მისი ლექსები დია წერილებზე და ერთ წიგნად, შემდეგ ბარცელონის ესპერანტისტთა საზოგადოებას გამოუცია ცალკე წიგნაკად მისი მოგზაურობის ამბავი. ესპერანტისტების ჟურნალები სიამოვნებით ბეჭდავენ მის ლექსებს. შარშან დრეზდენში ესპერანტისტთა მსოფლიო კონგრესზე ყოფილა და თვით ესპერანტისტების მეთაურს დ. ლაზამენჰოფს გაუცნია ჩვენი თანამემამულე და მისი ნაწარმოები უქია. ამ ჟამად ბ-ნ წიკლაურს აზრად ჰქონია ამერიკაში წასვლა, სექტემბრამდე კი დარჩება ბარცელონაში, სადაც უნდა მოხდეს ესპერანტისტების მსოფლიო კონგრესი.

ყ. ზ.—ლი.

—

**ხონი.** აქ შესდგა დრამატიული წრე. წრეს განაგებს 10 კაცი: პ. კიკალიშვილი, დ. ღორთქიფანიძე, ი. ქუთათელაძე, ოლ. კიკალიშვილისა. ივ. ჭავჭანიძე, გ. ბურჭულაძე, ვლ. ქუთათელაძე, ეკ. ბახტაძე, გ. კვარაცხვა და გ. უგულავა. ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება შემდეგი პიესები: „პირველი მერცხალი" რიშკოვისა, „პატარა კახი" აკაკისა, „საბედისწერო დამახე" ტ. რამიშვილისა, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა" ლ. ანდრეევისა, „ებრაელები" შიუკაშვილისა და „ოჯახი" ვ. შალიკაშვილისა. სეზონს ხსნიან 21 ივნისს და არდგენენ „პატარა კახს". წარმოდგენებს რეჟისორობს ნ. გვარამაძე. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ საზოგადოება გამოიჩენს თეატრისადმი თანაგრძნობას და თავის დასწრებულობით თეატრის საქმეს არ ჩაუშლის. მაგრამ არც მსახიობებმა უნდა დაიკლონ გულხელი, იმათაც ჰმართებთ შრომა, თუ სურთ საზოგადოების სიმპატიის დამსახურება. ძველი წესი—როლის უცოდინარობა, ენის ბორძიკი და მთვრალის გამოსვლა სცენაზე—წარსულ წელს ასეთი შემთხვევა მრავალი იყო, და კარგი იქნება წელს მაინც რიგიანად მოეკიდნენ საქმეს. მაშ ასე, საჭიროა შრომა და მეტი სიყვარული საქმისადმი.

ალგიგ.

**ს. ამბროლაური** (რაჭა). ამბროლაური ერთად-ერთი სოფელია რაჭაში, სადაც არსებობს უფასო სამკითხველო. თუმცა ამბროლაური რაჭის შუა გულია, მაგრამ ზემო რაჭის ზოგიერთი სოფელი თითქმის 60 ვერსით არის დაშორებული. ამ სიშორიდან კი ძნელად შეიძლება ისარგებლოს გლეხმა ასეთის სასარგებლო დაწესებულებით. ამას წინად ხმა გავრცელდა, ასეთს ქსენონს, როგორიც ამბროლაურშია, ონშიაც აარსებენო. თუ ეს ამბავი გამართლდა, დიდ სარგებლობას მოუტანს ზემო რაჭას.

ამბროლაურის ქსენონში მსახურობს ერთი ექიმი, ორი ფერშალი და ერთიც ბებია ქალი. ხსენებულ ქსენონის ეზოში დილით რომ მიბრძანდეთ, გაკვირდებით, იმდენი ხალხი გროვდება, ხშირად დილიდან-სადამომდის სინჯავენ ავადმყოფებს და აძლევენ წამალს. წამალი უფასოა; როგორც გადმოგვცეს, წლიწადში თურმე 300 მანეთის იძლევიან ქსენონისათვის უფასოდ. აბა ამდენ მიდეთის ხალხს როგორ დააკმაყოფილებს 300 მანეთის ნაწილი! ამ ჟამად ამბროლაურის ქსენონში ექიმად ა. გელოვანია, კაცი პატიოსანი და დარიბ-დატაკთა მშველი.

რაჭველი შურდული.

## სპარსეთის ამბები

**გალაშქრება თეირანზე.**

ბაქოს გაზეთებს ატყობინებენ თეირანიდან 17 ივნისის თარიღით:

წუხელის კაზვინელმა რევოლიუციონერებმა დაიჭირეს სადგური ენგი-იმამი, ორიოდე ვერსის მანძილზე კერეჯიდან, თეირანის გზაზე. იქ ყაზახები გაგზავნეს თეირანიდან.

წუხელ თეირანში თოფის სროლა ისმოდა. მსროლელნი ვერ აღმოაჩინეს. ამბობენ, ხვალიდან საყოველთაო აჯანყება დაიწყებაო. ხალხს ლომბარდსა და რუსის ბანკში შეაქვს ძვირფასი ნივთები.

აჯანყების უმთავრეს სულის ჩამდგმელად სთვლიან შაჰის ბიძას ზილი-სალთანეს, რომელიც დიდძალ ფულსა ჰხარჯავს აგიტაციაზე. ამბობენ, რომ რევოლიუციონურ ჯარს ზილი-სალთანე ინახავს თავის ხარჯითო.

როგორც ამბობენ, რუსის კონსულმა ბოგოიავლენსკიმ მიატოვა ქალ. კუმი, სადაც იგი სარდალ-ასადთან მოსალაპარაკებლად იყო წასული. ამ გარემოებას სთვლიან დიპლომატიურ კავშირის გაწყვეტად და სპარსეთში შინაურ სამოქალაქო ომის აუცილებლობის მომასწავლებლად.

სამინისტრო სამსახურიდან გადადგა, მაგრამ შაჰმა მხოლოდ სამხედრო და ფინანსთა მინისტრების გადადგომა შეიწყნარა".

„ნ. რუს"-ის კორესპონდენტი იუწყება [illegible] რიღით:

„ამ [illegible] თეირანი. ყველანი მოუთმენლად მოელიან ბახტიარებისა და კაზვინელების შემოსვლას და რევოლიუციონურ ბრძოლის ბედის გადაწყვეტას. სიძულვილი შაჰისადმი და მთელ მის დინასტიისადმი ამ ჟამად უკიდურეს ხარისხამდე ავიდა. შაჰს ხმამაღლა უთვლიან წყევლა-კრულვას. ბაზრებში ყოველ დღე იმართება მიტინგები, რომლებიც მამედ-ალი-შაჰს სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტენ ხოლმე. მდგომარეობა მეტად გამწვავებულია. ქალ. კუმი ბახტიარებმა დაიჭირეს. მოელიან, რომ რევოლიუციონერები მალე მოიტანენ იერიშს თეირანზეო".

„რეჩ"-ის თეირანელი კორესპონდენტი იუწყება: 13 ივნისს თეირანში გაავრცელეს საიდუმლო რევოლიუციონურ კავშირის ამაღელვებელი მოწოდება.

**უმთავრეს ენჯუმენის მოწოდება.**

„ნ. რუს"-ის თეირანელი კორესპონდენტი იუწყება: სპარსეთის უმთავრესმა ენჯუმენმა საადათმა, იმ მოსაზრებით, რომ რუსეთი იშკარად არ ჩაერიოს სპარსეთის საქმეებში შემდეგი მოწოდებით მიმართა სპარსეთის ხალხს:

„ჩვენ არ გაძლევთ ნებას სპარსეთის ბნელ უვიც ხალხში აგიტაცია გაჰმართოთ რუსის ჯარის წინაამდეგ და გიკრძალავთ რუსის საქონლის ბოიკოტს. ჩვენი ძმები—რუსის ჯარის-კაცები აქ არაფერ შუაში არიან. ჩვენ დარწმუნებულნი, ვართ რომ დიდი რუსეთი იმდენად მშვიდობის მყოფელია, რომ დიდხანს აღარ დაიყოვნებს და გენ. სნარსკის უბძანებს, რომ მან მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომები დაიცვას და მეტ არაფერში ჩაერიოს. ამიტომ ჩვენ ურჩევთ მთელ სპარსეთის ხალხს რუსები წინანდებურად თავის მეგობრებად და კეთილ მეზობლებად მიიჩნიოს".

ამას გარდა „საადათ"-მა უბძანა ხალხს, გაუფრთხილდეს და დაიცვას სიცოცხლე და ქონება ყველა უცხოელისა; „ისე მოიქეცით, რომ რუსისა ან ინგლისელის თავიდან ერთი ბეწვიც არ ჩამოვარდეს სპარსელის მიზეზითო."

---

დებოდა და დღესაც გრძელდება. როდესაც **უცხო** სახელმწიფოს საკუთრებად შეიქმნება ის საბუდარი სადაც შენ აგიშენებია შენი საზოგადოებრივობა, როდესაც იგი სხვა საზოგადოებრივობის მატარებელს აბუდებს ამ საბუდარში,—შენი საზოგადოებრივობა გადაგვარდება, მაშ რა დაემართება?!

Baton-მაც სთქვა და მეც ვამბობ, რომ პროგრესსი იყო ჩვენს საზოგადოებაში, მიუხედავად ყოველივე ამისა. მაგრამ ამას ვერ გაიგებს ჩვენი მეპრესსე. რა იცის მან, რა არის პროგრესი,—პიტნაა თუ პანტა! ბავშვი იზრდება, მაგრამ ხან და ხან არა ნორმალურად, არამედ ნორმალურზე გაცილებით ნაკლებად, და თუ ამ ზრდამ ვერ მიაღწია ნორმალურ ხარისხს, მისი ორგანიზმი კვდება, ვერ აღწევს სრულწლოვანებას, ან და დეგენერანტი გამოდის მრავალ-მხრივ. მაგრამ ბავშვი რომ ერთ წერტილზე გაჩერებულიყოს და ხუთ-ექვს წელიწადში არ გაზრდილიყოს, ეს კი ისეთი მოვლენაა, რომ მხოლოდ მეპრესსეს ეცოდინება მისი საიდუმლოება. კაცუნებიც კი იზრდებიან და აღწევენ თავიანთ კაცუნისებურ სიდიდესა! პროგრესსი ბევრნაირია: არის პროგრესსი რთული - შედარებითი არის პროგრესსი სწორხაზიანი; არის პროგრესსი ნორმალური და არა ნორმალური, არა საკმარისი. სწორხაზიანი პროგრესსი არაფერს არ ამტკიცებს თავის თავად, რთული-შედარებითი კი მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად სძლია საზოგადოებამ, ან ორგანიზმმა, ზრდის ყველა დამაბრკოლებელ პირობას, რამდენად იყო მისი ზრდა ნორმალური, ან ნორმალურზე მეტიც, სხვა ორგანიზმებთან შედარებით.—ასეთივეა რეგრესსის შინაარსიც, მხოლოდ უკუღმართი. ასეთ პროგრესს-რეგრესსზე გვქონდა ლაპარაკი, ასე გვესმოდა და გვესმის ეხლაც „გადაგვარება", რადგან ჩვენ სხვა საზომი გვაქვს მოვლენათა დაფასებისა, სხვას კი სხვა საზომი აქვს. მაგალითად, მეპრესსე ერთს წამოიყრანტალებს,—აღმოცენდა ბურჟუაზია, პროლეტარიატი, ახალი ძალები! მორჩა და გათავდა, განზომა სოციალური მოვლენა, გადასჭრა დიდი პრობლემა! რაღა გვიჭირს, მაშასადამე, ნუ სტირით, სულელო ნაციონალისტებოო, და სხვა. მართალი მოგახსენოთ, ასეთი საზომი არც მჭერია და არც მინდა დავიჭირო ხელში, იგი უცხო „ახალი ძალების" არშინზედაც უფრო მოკლეა და ჩვენი ს. დ-ების ჰკუაზედაც!

ეს უკანასკნელები ვითომ ეკონომიური მატერიალისტებიც არიან, მაგრამ ვერა სდგანან ხეირიანად თავიანთვე ნიადაგზე, თორემ ამ ეკონომიურ თვალთა ხედვითაც თვალ-საჩინოა ჩვენი „გადაგვარება": ჯერ ერთი იმიტომ, რომ უბრალოდ არის შესამჩნევი ჩვენი ეკონომიური განუვითარებლობა, მაშასადამე, განუვითარებლობა ჩვენის ცხოვრების **საფუძვლისა**; მეორე იმიტომ, რომ სწორედ ეკონომიური საფუძველი თუ არ არის მაგარი, მაზედ აღგებული ზედ-ნაშენებიც არაფრად ვარგიან. და თუ ის ზედ-ნაშენები არ გვვარგა,—ამაში მაინც დამეთანხმებიან ესდეკები, თუ თავიანთ თავს არა სთვლიან „იდეოლოგიათა" დიდ წარმომადგენლებად,—მაშ ამ ფორმულით თვით ეკონომიური საფუძველი არ ვარგებულა. ასე ამბობს აუცილებლად მათივე ფორმულა.

მაგრამ მე, აკი მოგახსენეთ, ამ საზომს ვერ დავიჭერ. ჩემთვის ეკონომიური ცხოვრება მხოლოდ ერთი მხარეა საზოგადოებრივ ცხოვრებისა. ჩვენი საზომი უფრო რთულია. მე განვიხილავ ერის ცხოვრებას მის სოციალურ ცხოვრების ერთიანობის თვალთახედვით. აქ კი საშინელი სურათი მეშლება თვალ-წინ, და არა ვარ ხოლმე იდიოტურ ღრეჯის გუნებაზე. ნაზი ორგანიზმი საზოგადოებისა—ამ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოებისა—დაშლილად მეჩვენება. აღარც ქართული პოლიტიკა და სამართალი, არც ქართული ვაჭრობა და მრეწველობა, ამასთანავე შემოკლებული ენა, ერთი მესამედი პროვინციებისა წართმეული და გავერანებული, მტრისგან, ზედ დასახლებული ხალხი გაველურებული მით, რომ ნამდვილად არც ჩვენსა და არც უცხო კულტურულ-საზოგადოებრივ ორგანიზმს არ ეკუთვნის, დაცემული ეკლესია, დაცემული მწერლობა, უსაშინელესი სიღარიბე ხალხისა და ამ ნიადაგზედ მართლაც რომ ნამდვილი გადაგვარება ათასგვარ ავადმყოფობის გავრცელებითა, შუა-გული საქართველო გაწყვეტილი სხვა ელემენტით, მუდმივი გლეჯა საქართველოს მიწა-წყლისა სხვის სასარგებლოდ, ისე, რომ ქართველის გარდა ყველას აქვს უფლება დაესახლოს ჩვენს საკუთნოებით სისხლით მორწყულ ტერიტორიაზე,—აი რა მეშლება თვალ-წინ. შავი ზღვის ნაპირები დუხობორებით უნდა დაასახლონ და ოსმალეთის მეთევზეებს კონკურენცია უნდა გაუწიონო! სოხუმის ოლქში ვინ იცი საიდან გადმოსახლებული ხალხი უნდა დაასახლონ და მეგრელი კი შიმშილითა და მალარიით უნდა მოჰკლან! ხევსურები გაიძახიან—დედაკაცებთან ვეღარ დავწოლილვართ,—გამრავლებისა გვეშინიანო (ესეც არ არის გადაგვარება, არა?)—ეხლა მუსულმანობასაც კი იღებენ გაჭირვების გამო, და მთელი ბორჩალოს მთები ჩვენი ბრწყინვალე დეგენერანტებისა და სხვათა წყალობით ვინ იცის ვის არ უნდა აკუთვნონ. მთელი ქიზიყი და თუშეთი შირაქითა სცხოვრობს, და იქ კი არხები უნდა გაიყვანონ, რომ ჩრდილოეთიდან გამოგზავნილნი დაგვიმეზობლონ! აი რა ხდებოდა, რა ხდება ეხლაც და რას გვიპირობენ, და ჩვენ კი ვილაც წერა-კითხვის უცოდინარისაგან სამ-კაპიკიან ბროშიურიდან ამოკითხულ სისულელით უნდა ვცეთ ნუგეში ჩვენს თავს! ჩვენის სოციალურ ცხოვრების ყველა დარგში თვალსაჩინოა ასეთი უბედური მდგომარეობა და ესენი კი იციან, იღიმებიან, თითქოს სასიხარულო რამე იყოს.

არა, ბატონებო, ჩემთვის კი არა არის რა სასაცილო ჩვენს მდგომარეობაში და ვისაც ყურებამდის აბჯეულ პირზე იდიოტური ღიმილი არ უქრება,—იმან იღიმოს და იტაკიმასხაროს!..

მეპრესსე ისეთი ჰკვიანი რამ არის, მართლა ჰგონია, რომ ჩვენ თავადაზნაურობა მიგვაჩნია მთელ ერად, სხვა კლასებს ვერ ვამჩნევთ და ამიტომ მისი გადაგვარება გვეჩვენება ერის გადაგვარებად. ეს ჰკვიანურიაზრი, რასაკვირველია, იქიდან წარმოსდგება, რომ სადღაც ყური მოუკრავს;—ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობის წარმომადგენელი იდიოლოგები მარტო მათ ხედავენ, სხვას ვერავისო. მაგრამ კარგად რომ ჩაკვირვებოდა თავისავე მოძღვრებას, იქ ასეთ სისულელეს ვერ ამოიკითხავდა. მათ კარაბადინში სწერია—გაბატონებულ კლასთა ინტერესების დამცველებად გამოდიან ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობის წარმომადგენელნიო, თორემ ვერ ჰხედავენო,—ერთი კლასი მთელი ერი ჰგონიათო, მათი გადაგვარებით მთელ ერს გადაგვარებულად სთვლიანო,—ამას რომელი ჰკუათა მყოფელი მარქსისტი იტყვის. შეიძლება კი იყვნენ სადმე მართლა ჩვენი მეპრესსესაგან გამოგონილი ექზემპლიარები, მაგრამ ის „ბურჟუაზიული" და „ფეოდალური" მეცნიერები და პუბლიცისტები, რომლებიც მართლა იცავენ თავიანთ კლასთა ინტერესებს, არა მგონია მარქსა და ენგელსს ბრმებად ჰყოლოდეთ წარმოდგენილი და სხვა კლასთა ხედვის ნიჭს მოკლებულად. ეს უფრო „ანის" ფილოსოფიაა პროლეტარიატის და ბურჟუაზიის „გადაფურჩქვნისა", ვიდრე მარქსის და მისი გონიერი მიმდევრებისა.

მაგრამ დავანებოთ თავი ამ ფილოსოფიას.

ჯერ ეს ვიკითხოთ,—რომელ გაბატონებულ **კლასებსა** ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში? თავად-აზნაურობას და ბურჟუაზიას, არა? მაგრამ აკი თითონა ბრძანებს ბ-ნი მეპრესსე, რომ ბურჟუაზია ჩვენში ახალი ძალა არისო, საიმედოო? მაშ კარგად გვიფიქრია, რომ თვალები გაგვიხელია და დაგვინახავსო ეს გაბატონებული კლასი? მაგრამ თუ ეს „ახალი ძალაა", საიდანღა ვხედავთ მის გადაგვარებას? თუ ჩვენა ვხედავთ და ისინი ვერა ჰხედავენ და „ახალ ძალად" სთვლიან? თუ დაბადებამდის დედის მუცელში გადაგვარდა. ეს „ახალი ძალა?" მაშინ ძალიან „საიმედო ძალა" ყოფილა, თქვენმა მზემ!.. ღლაპმა უწყის აბნევ-დაბნევა ჩვენი მოკამათის აზრისა,—მგონი თითონაც არ ესმის ვის რა მიაჩნია გადაგვარებულად, ან ვინ გადაგვარდა, ან ვინ უნდა გადაგვარდეს!

თუ კი მარტო თავად-აზნაურობა არის გაბატონებული კლასი ჩვენს ბრმა თვალში, მაშ რაღას მოასწავებს მრავლობითი რიცხვი—გაბატონებული **კლასსები!** მაგრამ ეს ალბად Licencia poetica-ა, ესდეკური ენის თავისუფლება, ულოგ-უალაგოდ ამოკითხულ სიტყვათა სროლა უდარდელად და დაუფიქრებლად. რა უჭირსთ, აკი იცინიან, დარდი არა აქვთ! სხვისა რისა აქვთ, რომ თავისავე ნარახუნებზე ინაღვლონ!

მაგრამ ჩვენ ეს წვრილმანი აქ არ გვაინტერესებს. ჩვენთვის უფრო საინტერესოა თვით საკითხი გადაგვარებისა. ორგვარად შეიძლება განიხილოს ადამიანმა ეს საკითხი: გადაგვარება ერის სოციალურ ორგანიზმის,—ატროფია სოციალურ ორგანოთა, რაზედაც მე წინადაც ვლაპარაკობდი (თუმცა ვერა გაიგო რა მეპრესემ) და ეხლაც ვლაპარაკობ; გადაგვარება ხალხისა, ინდივიდებისა. რასაკვირველია პირველ შემთხვევაშიაც გვჭირდება მეორეზედ ლაპარაკი და მეორე შემთხვევაშიაც პირველზედ, მაგრამ ეს ორი საგანი მაინც შეიძლება კაცმა გაპაროს ცალ-ცალკე კვლევის საგნად.

B.

(შემდეგი იქნება)

# ოსმალეთი

**რევოლიუციის წლის თავი.**

მომავალ 11 ივლისს ერთი წელიწადი შესრულდება იმ მარად-სახსოვარ დღიდან, რა დღესაც მაკედონიის რევოლიუციონერმა ჯარმა ენვერ-ბეისა და ნიაზი-ბეის მეთაურობით ძალ და ძალ აღადგენინა კონსტიტუცია სულთან აბდულ-ჰამიდს, ამ ჟამად უკვე ტახტიდგან ჩამოგდებულს... ამ დიდებულ დღეს ახალგაზდა ოსმალები მთელს ოსმალეთში აპირებენ დიდის დღესასწაულის გადახდას. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ეროვნების წარმომადგენელნი. სხვათა შორის ბოლგარი სტუდენტებიც აპირებენ იმ დღისთვის სტამბოლში წასვლას.

**საზარელი სარდაფი.**

ვენურ გაზ. „ცაიტ"-ს ატყობინებენ, რომ სტამბოლში, ილდიზ-კიოსკს ახლო, ბეშიკ-ტაშის უბანში აღმოაჩინეს სარდაფი, რომელშიაც ინახებოდა თურმე სულთან აბდულ-ჰამიდის უთვალავ მსხვერპლთა ნაშთი.

როცა სარდაფის კარი გააღეს, მოსულებს ეცათ მკვდრების საშინელი სუნი. ბევრი გვამი მთლად დაფერფლილიყო და მხოლოდ ჩონჩხი-ღა დარჩენილიყო. ადამიანის ჩონჩხები არეულიდ ეყარა თურმე დედა მიწაზე ჯერ კიდევ შენახულ გვამებს ქვეშ. გვამთა შორის აღმოჩნდა ბევრი ცნობილი პირი, რომლებსაც სძულდათ სულთანის მტარვალობა და ამის გულისთვის მოჰყვნენ მის მსხვერპლთა შორის. სარდაფის ერთ-ერთ კუთხეში იპოვეს ყუთი, რომელშიაც იდვა მითხად ფაშის თავი. როგორც ვიცით, აბდულ-ჰამიდმა 1881 წელს არაბეთში დააკარგვინა და შემდეგ მოაკვლევინა 1876 წლის კონსტიტუციის შემქმნელი მითხად-ფაშა და მისი მოკვეთილი თავი ყუთით სტამბოლში დაიბარა. სარდაფში ნაპოვნ ყუთზედ აწერია, რომ შიგ მითხად-ფაშის თავი დევსო. ახალგაზდა ოსმალები თხოულობენ, მითხად-ფაშის თავის სარქველი დიდის ამბით უნდა დავასაფლავოთო.

**ახალი სომხური გაზეთები.**

ოსმალურ გაზეთების გამომცემლის პეტიკ-ეფენდის თაოსნობით ამ მოკლე ხანში სტამბოლში ოსმალურ ენაზე გამოვა გაზეთი, რომელსაც აზრად აქვს ოსმალებს გააცნოს სომეხთა საჭიროება, მოთხოვნილება და მისწრაფება. გაზეთის რედაქციაში მონაწილეობას მიიღებენ სომხები და ოსმალები.

ქალ. არზრუმში ამას წინად დაიწყო გამოსვლა ახალმა სომხურმა გაზეთმა „არაჯ"-მა („წინ") „არაჯ"-ი ჯერ-ჯერობით კვირაში ორჯელ გამოდის და თავის მიზნად ჰსახავს მშრომელ ხალხის ინტერესების მოსარჩლობასა და ოსმალეთის ნაირ-ნაირ ერთა შორის სოლიდარობისა და თანხმობის ქადაგებას....

**ოსმალეთის ფლოტის აღორძინება.**

ოსმალეთის სამხედრო ფლოტი წარსულ საუკუნის მე-70 წლებში თავის რიცხვითა თუ ძლიერებით მესამე იყო მთელს ქვეყნიერობაზე (პირველი და მეორე იყო ინგლისის და საფრანგეთის ფლოტები), მაგრამ აბდულ-ჰამიდის მეფობის დროს იგი მთლად დაეცა და თითქმის სიკვდილის პირად მივიდა. მრავალი სამხედრო გემი ჟანგდებოდა და ლპებოდა ოქროს რქის სრუტეში; მშვენივრად მოწყობილი სამხედრო პორტი თავის დოკებით და ქარხნებით სულ დაცალიერდა: რასაც-კი ცოტაოდენი ფასი ჰქონდა, ყველაფერი წაიღ-წამოიღეს მტაცებელმა მოხელეებმა; საზღვაო არსენალებში აღარ იშოვებოდა აღარც თოფის წამალი, აღარც ყუმბარები. ფლოტში მსახურებდა სულ ორას-სამასიოდე დაგლეჯილ-დაფხრეწილი მეზღვაური, რომლებიც მარტო სელამლიკის დროს გამოჩნდებოდნენ ხოლმე. სამაგიეროდ ფლოტში ირიცხებოდა მრავალი „ადმირალი" და საზღვაო მინისტრები მრავალ მილიონებს იჯიბნდნენ. აბდულ-ჰამიდი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა თავის ფლოტის ასეთს სამწუხარო მდგომარეობას, რადგან მას გიჟივით სძულდა ფლოტი. აბდულ-ჰამიდი ტახტზე ასვლის უმალ ჯავშნოსან „მასუდიე"-ზე აღმოაჩინეს შეთქმულობა მის წინააღმდეგ. მაგრამ ბოლოს დროს გერმანიის რჩევით აბდულ-ჰამიდიც იძულებული იყო ყურადღება მიექცია ფლოტის აღორძინებისთვის: მან რამდენიმე ახალი გემი შეიძინა და რამდენიმე ძველი გემი გადააკეთებინა. ახალ გემებთან ერთად ფლოტში გაჩნდა ახალი, განათლებული, კონსტიტუციის მომხრე აფიცრობა, რომელიც ღრმად დააფიქრა ასეთმა საცოდავმა ყოფამ. ამათი მოთხოვნით ივლისის რევოლიუციის გამარჯვების უმალ, ახალგაზდა ოსმალები შეუდგნენ ფლოტის აღორძინებას. მათ მოიწვიეს ინგლისელი ადმირალი გემბლი და მას ჩააბარეს თავიანთ ფლოტის რეორგანიზაცია.

ადმირალი გემბლი წარსულ სექტემბერში მივიდა სტამბოლს, ჯერ გაიცნო ფლოტის და საზღვაო დაწესებულებათა მდგომარეობა და შემდეგ თავისი პროგრამა წარუდგინა მთავრობას. გემბლის აზრით, თავდაპირველად საჭირო იყო ყოველნაირ საზღვაო სპეციალისტების დამზადება, მეზღვაურების გაწრთვნა და სწავლა და მათში დისციპლინის აღდგენა. ამის შემდეგ საჭირო იყო სტამბოლის სამხედრო პორტის განახლება, მისთვის სპეციალისტების მიწვევა, ყოველ-ნაირი ინვენტარის, ყუმბარებისა, ნაღმების და სხვა სამხედრო მასალის შეძენა. მხოლოდ ასეთ მომზადების შემდეგ შეიძლება შეუდგეთ ახალ გემების შეძენასო, სწერდა გემბლი თავის პროგრამაში.

მთავრობა დიდის ყურადღებით მოეკიდა გემბის პროგრამას და მის მოხსენების თანახმად 15 აფიცერი გაგზავნა ინგლისში საზღვაო საქმის შესასწავლად. მაგრამ მერე როგორც თითონ აბდულ-ჰამიდი, ისე საზღვაო სამინისტროს უმაღლესი მოხელეები ისეთ მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ გემბლს, რომ მან ბევრჯელ დააპირა თანამდებობიდან გადადგომა. ეგაა ახალგაზდა ოსმალები ისე გულწრფელად სთხოვდნენ დარჩენას და ახალგაზდა მეზღვაური აფიცრები ისე გულმოდგინედა და საოცარის ბეჯითობით ეკიდებოდნენ ფლოტის აღორძინების საქმეს, რომ გემბლი დარჩა სტამბოლში და თავისი საქმე განაგრძო. გემბლი არა ჰმალავს, რომ ინგლისელმა ინსტრუქტორებმა მხოლოდ აფიცრების ასეთის საოცარის გულმოდგინეობის წყალობით სძლიეს ყოველ აშკარა თუ ფარულ დაბრკოლებას და სულ მოკლე ხანში დიდი საქმე გაარიგესო. სულ ორიოდე თვეში სტამბოლის სამხედრო პორტი, რომელიც 25 წლის განმავლობაში წარმოადგენდა ნაყარ-ნუყარის საწყობს, ისე გადააკეთეს და ისე მოაწყეს, რომ მას შეუძლიან თითონ გაუძღვეს ფლოტის ყოველნაირ საჭიროებას; შეიძინეს ყველა საჭირო მანქანა, დაზგები, ელექტრონის მანქანები, პრიჟექტორები, ნაღმები, ყუმბარები და სხვა. სტამბოლის პორტამა სულ ორიოდე კვირაში მოამზადა საომრად ოსმალეთის ესკადრა—16 გემი (მათ შორის 8 დიდი გემია); ეს დიდად საყურადღებო ფაქტი მოწმობს, რომ პორტი მართლა კარგად მოუწყვიათ.

ამავე დროს თითონ გემებზე დაულალავად წრთვნიდნენ მეზღვაურებს, რომლებსაც წინად არაფერი არ გაეგებოდათ საზღვაო საქმისა. ეს სწავლება მით უფრო ძნელი იყო, რომ ფლოტში უნტერ-აფიცრებმაც-კი არა იცოდნენ რა და ყველას ანბანიდან უნდა დაეწყო საქმის სწავლა. მიუხედავად ამისა,—ამბობენ ინგლისელი ინსტრუქტორები,—ამ ჟამად ოსმალეთის ფლოტს უკვე ჰყავს საკმაო რიცხვი კარგად ნასწავლ არტილერისტებისა, მენაღმეებისა, მაშინისტებისა და სხვა სპეციალისტებისა; ეგაა მათ ეხლა მარტო ზღვაში ვარჯიშობა აკლიათ. (ნ. ვ.)

# კრიტოსის საქმე

**ბოლგარები ოსმალებს ჰპირდებიან დახმარებას.**

ვენურ გაზეთებს ატყობინებენ სალონიკიდან: ოსმალთა სამხედრო წრეებს და ახალგაზდა ოსმალებს თითქმის აუცილებლად მიაჩნიათ ომი საბერძნეთთან. ბოლგარები ოსმალებს ჰპირდებიან შველას და ბევრი მათგანი ეწერება თავისუფალ მეომრად: თუ საბერძნეთთან ომი დაიწყო ოსმალეთის ჯარში ჩავდგებითო. აქამდე 30 ათასმა ბოლგარმა გამოაცხადა ასეთი სურვილი. ამბობენ, რომ უკვე საიდუმლოდ შეუდგნენ თავისუფალ მეომრების ჯარში მიღებასო. ბერძნებისა და ოსმალების მორიგება თითქმის შეუძლებელია. მათ შორის თან და თან ძლიერდება სიძულვილი.

**საუბარი ოსმალელ დიპლომატთან.**

„ნ. რუს."-ის კორესპონდენტს კრიტოსის საქმეზე უსაუბრნია ერთს ოსმალელ დიპლომატთან.

— ამიხსენით, ბერძნებმა, რომლებიც თქვენთან ერთად დღესასწაულობდნენ კონსტიტუციის აღდგენას და თქვენ ერთგულ მეგობრებად მოჰქონდათ თავი, ასე მალე რად შესცვალეს თავიანთი ტაქტიკა.

— ეგ ადვილი ასახსნელია: მაშინ ჩვენ, ახალგაზდა ოსმალები, ძლიერები ვიყავით, დიდი სახელი გვქონდა, ხალხი გვაღმერთებდა,—ეხლა კი სხვა და სხვა ერთა შორის და თვით მუსულმან არაბებსა და ოსმალებს შორისაც კი გაჩნდა უთანხმოება. ბერძნები აპირებენ ჩვენის ვითომდა სისუსტით ისარგებლონ, მაგრამ ეს ცდა ძვირად დაუჯდებათ.

ჩვენი ჯარი ძლიერია და როცა გაიმარჯვებს, მაშინ ყველა დაინახავს მის ძალას და ჩვენს უკულტურო ქვეყანაში ყველა დაიწყებს ჩვენ წინ ცახცახს.

არაბებს აღარა სწამთ-რა ჩვენი, მათ ჰგონიათ, რომ ჩვენ აღარ შეგვიძლიან პროვინციებში ბატონობა, ხოლო გამარჯვებული ომი საბერძნეთთან ოსმალეთის იმპერიის სახელს აღადგენს.

ჩვენ ვემზადებით საომრად, რადგან არ გვინდა, რომ ომი მოულოდნელად დაგვატყდეს თავს. ერთი გაბედული მარჯვე იერიში ხან და ხან მთელის ომის ბედს გადასწყვეტს ხოლმე, კრიტოსელი ბერძნები ასაჯანყებლად ემზადებიან, ამიტომ ჩვენც უნდა დავემზადნეთ კრიტოსელ მუსულმანთა სიცოცხლისა და მშვიდობიანობის დასაცველად.

ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მოწყვეტა მეტად ძვირად დაგვიჯდა. ჩვენ დავკარგეთ ხალხის ნდობა, მას ექმნა ჩვენ გვთვლიან მოღალატეებად, ოსმალეთის სამფლობელოს გამყიდველებად. კრიტოსის საქმეში ასე აღარ მოვიქცევით, ხალხი აღარ გვაპატიებს ასეთს შეცდომას.

— ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ საბერძნეთზე გამარჯვება დაგიბრუნებთ არაბების ნდობას?

— რასაკვირველია, — ყორანით, რომელიც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ჩვენს „კეთილშობილ ძმებს"—ისა ბატონობს, ვინც უფრო ძლიერია... ამიტომ კრიტოსის საქმეს ჩვენთვის მარტო საერთაშორისო მნიშვნელობა როდი აქვს; მას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნის სიწყნარისა და ჩვენის ეროვნულ სიამაყისთვის.

# წინამძღვარიანთ-კარის სკოლა

(მოწაფეთა გამოცდა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში)

ამ ბოლო დროს წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელმა ქართველ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ეს გამოიწვია გაზეთებში მოთავსებულმა წერილებმა, სადაც ავტორები შეეხნენ სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგის მდგომარეობას ხსენებულ სასწავლებელში, ხოლო არც ერთის სიტყვით არ მოიხსენიეს, როგორ არის იქ დაყენებული საზოგადო განათლების, სწავლების საქმე.

ამ მხრივ დაინტერესებულებმა, ჩვენ განვიზრახეთ დავსწრებოდით მოწაფეთა გამოცდას და კვირას, 14 ივნისს, გავემგზავრეთ სკოლაში.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ორ უკანასკნელ წელს თანდათან ხდება სკოლის რეორგანიზაცია: სპეციალურ კლასებთან არსებული ოთხი მოსამზადებელი განყოფილება თანდათან უქმდება, რათა მათ მიერ გამოწვეული ზედ-მეტი ხარჯი მოახმარონ სპეციალურ საგნების საუკეთესოდ დაყენებას, როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად. ამ ჟამად ხსენებულ ოთხ განყოფილებიდან არსებობს მხოლოდ ორი უკანასკნელი—მესამე და მეოთხე, აგრეთვე ორი სპეციალური სამეურნეო კლასი.

მოწაფენი გამოვცადეთ შემდეგ საგნებში: სღმთო რჯულში, ქართულსა და რუსულ ენებში, არითმეტიკაში, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში.

საჭიროა აღინიშნოს ერთი ფრიად საგულისხმიერო გარემოება: აქ დაცულია ძირითადი პედაგოგიური ჭეშმარიტება,—სამშობლო ენაზე სწავლება. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება, რომ მოსწავლეებმა გამოიჩინეს საზოგადო განვითარება და შეგნებულად საგნების ცოდნა.

სღმთო რჯულის სწავლებაში მამა ა. ჯალიაშვილი ასცდენია სხოლასტიურ ხასიათს: სარწმუნოებისა და ზნეობრივი სწავლა მას აუხსნია ცხოვრების მაგალითებით და სცდილა პატარა მოწაფეთა გულში ჩაენერგა სათნოების გრძნობა.

ქართულ ენას და ამ ენაზე საგნების სწავლებას მიქცეული აქვს დიდი ყურადღება. ჩქარის, გარკვეულის კითხვით, წაკითხულის შინაარსის გადმოცემით, ლექსების ზეპირად წარმოთქმით მოწაფენი მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელზე. ემჩნევა, მასწავლებელს შრომა არ დაუზოგნია. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოწაფეებს განვლილი მასალა სრულის შეგნებით შეუთვისებიათ, რისთვისაც მათი მასწავლებელი მადლობის ღირსია.

არითმეტიკაშიაც მოსწავლეებმა თავი ისახელეს: ზეპირი და წერითი ანგარიში ათასის საზღვარში, რაც პროგრამით მოეთხოვებათ, რიგიანად აქვთ შესწავლილ-ნავარჯიშევი.

სამშობლო ენაზე სწავლება არა თუ არ უშლის რუსულის შეთვისებას, პირ-იქით, ხელს უწყობს, როგორც ეს მტკიცდება ამ სკოლის მაგალითზე: მართალია, გამოთქმა პატარა ქართველ ბავშვებს ვერა აქვთ წმინდა რუსული, მაგრამ, სამაგიეროდ, ენის ცოდნით აღემატებიან სხვა სასწავლებელთა თავიანთ ტოლ მოწაფეებს, სადაც არ არის დაცული უსაჭიროესი პედაგოგიური პირობა. „Русское Слово"-დან ყველა გავლილი სტატია რიგიანად იციან მოსწავლეებმა და ლექსიკური მასალაც საკმაოდ შეთვისებული აქვთ. ქართული წერა ორთოგრაფიისა და კალიგრაფიის მხრივ წესიერად არის დაყენებული. სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის რუსულ ენაზე: ეტყობათ, მოწაფეთ ეს სიძნელე ჯერ ვერ დაუძლევიათ, რაც იმით აიხსნება, რომ ორთოგრაფია რუსული მეტად მძიმე ტვირთია თვით რუსებისთვისაც.

მოწაფეთა გამოცდამ, საზოგადოდ, მეტად გვასიამოვნა, და ეს გარემოება გვაიძულებს ხმა მაღლა ვაღიაროთ, რომ წინამძღვარიანთ-კარის სკოლა მეტის ყურადღებისა და დახმარების ღირსია ქართველ საზოგადოების მხრივ.

ი. ხრამელაშვილი.

ბ. ტატიშვილი.

# რუსეთი

✦ **გაფიცვა.** „კასპს" პეტერბურგიდან 17 ივნისის თარიღით დეპეშით ატყობინებენ: „ხუთშაბათს, 18 ივნისს მთელი ფინლიანდიის მცხოვრებნი საყოველთაო გაფიცვას დაიწყებენ. გაფიცვა მიმართულია მაგარ სასმელების წინააღმდეგ."

✦ **სასულიერო აკადემიების რევიზიის შემდეგ.** გაზეთების სიტყვით სინოდს უკვე მოუსმენია მოხსენებები სასულიერო აკადემიების რევიზორებისა. მოხსენების განხილვის შემდეგ სინოდს დაუდგენია აკადემიების რექტორებს შენიშვნა მისცეს და დაითხოვოს 8 პროფესორი.

✦ **მღვდლის დაპატიმრება.** სოფ. ლუკნოიში დაუპატიმრებიათ ადგილობრივი მღვდელი პოდვოისკი. ამ მღვდელს ეკლესიაში არა-ლეგალური ლიტერატურა ჰქონია.

✦ **ეგზამენებზე.** „რუსკ. ვედომ." იტყობინება, რომ ამ წელს პეტერბურგის სამოსწავლო ოლქთან 450 ექსტერნი იჭერდა ეგზამენსო. აქედან ეგზამენი დაუჭერია 45 კაცს, დანარჩენები მათემატიკაში და რუსულ ენაში ჩაუჭრიათ.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ეკატერინოსლავში 3, ვარშავაში 2, რეველში 1, მოსკოვში 2, ხარკოვში 1, პეტერბურგში 2 კაცს: სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 1, ვარშავაში 2, პეტერბურგში 1, რიგაში 1, მოსკოვში 1, კამენეც-პოდოლსკში 2 კაცი.

✦ **ყუმბარების აღმოჩენა.** ამ რამდენიმე დღის წინედ პეტერბურგის უნივერსიტეტის ორ სტუდენტს და კ. დ.—ს ერთი ოთახი დაუჭერიათ. მალე სტუდენტებით სადღაც წასულან და აღარ დაბრუნებულან. სახლის პატრონს ეჭვი შეჰპარვია და მეეზოვეს საშუალებით ოთახის კარები გაუტეხნია. როდესაც სახლი დაუთვალიერებიათ, უნახავთ ერთი კალათი, რომელიც სულ ყუმბარებით ყოფილა სავსე. მალე გაჩენილა პოლიცია, რომელსაც გამოძიება მოუხდენია. თვითო ყუმბარა 20 გირვანქას იწონის. („რეჩი").

✦ **მკვლელობა 20 კაპეიკისთვის.** იუზოვკაში იპოვეს 8 წლის ქალიშვილის დომეიკოს გვამი. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ დომეიკო მოუკვლევინებია 50 წლის დედაკაცს ოპოროვას. ოპოროვას დაურიგებია 16 წლის ქალი კუტაკინისა და ამ უკანასკნელს მოუკლავს დომეიკო. კუტაკანისას „გასამრჯელოდ" აუღია 20 კაპეიკი! მიზეზი ის არის, რომ დომეიკოსი და ოპოროვისა ერთ ალაგას ვაჭრობდნენ და 8 წლის დომეიკო ისეთი ყაჩაღი გამომდგარა, რომ ოპოროვისას მუშტარი სულ დაუკარგავს. ოპოროვისას რომ ვეღარა გაუწყვია რა, ამდგარა და ბავშვი მოუკვლევინებია!!! („რეჩი".)

✦ **საერო განათლების მინისტრის განკარგულება.** „ბაკუს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: საერო განათლების მინისტრი შვარცი თხოულობს, ებრაელებს უმაღლეს სასწავლებლებში ნუღარ მიიღებთ, რადგან უმაღლესი სასწავლებლები ებრაელებით გაივსო და დაწესებულ ნორმას გადააჭარბესო, მინისტრის აზრით ებრაელებს მხოლოდ მაშინ მიიღებენ, როდესაც უმაღლეს სასწავლებლებში დაწესებულ ნორმაზე ნაკლები ებრაელი აღმოჩნდება.

✦ **უმაღლეს სასწავლებლებში.** „როსსია"-ში ვკითხულობთ: საერო განათლების მინისტრის განკარგულებით უმაღლეს სასწავლებლებს დაურიგდათ სია იმ პირებისა, რომლებმაც საშუალო სასწავლებლები გაათავეს 1903—1908 წლამდის. ეს ხომ იმიტომ. გამოწვეული, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ხშირად აღმოჩნდა ისეთი, რომლებსაც ყალბი მოწმობები ჰქონდათ. ამა წლის კურს გათავებულთა სიებს სასწავლებლები პირველ ივლისამდე წარადგენენ. ამის შემდეგ სასწავლებლები მოვალენი არიან ყოველ წლიწადს წარადგინონ ასეთი სიები.

✦ **„სრულიად რუსეთის" მისიონერი.** ამ ჟამად თავისუფალია სინოდის მისიონერის ადგილი. ამ ადგილზე კანდიდატად ასახელებენ მოსკოვის ეპარქიალურ მისიონერ აივაზოვს. აივაზოვი ცნობილია თავის სიტყვებით წინააღმდეგ ლ. ტოლსტოისა, გრიგორი პეტროვისა და თავის სიტყვებით მისიონერთა კრებაზე კიევში როგორც გაზეთები გადმოგვცემენ აივაზოვს კონკურენტი გამოსჩენია. ეს გახლავთ ჩვენში კარგად ცნობილი დეკანოზი ვოსტორგოვი. ვოსტორგოვს სინოდში განცხადება შეუტანია. განცხადებაში ვოსტორგოვი სწერს, რადგანაც მართმადიდებელ ეკლესიის ბედი მაწუხებს, ამიტომ თანახმა ვარ ვიკისრო ეს თანამდებობა მხოლოდ იმ პირობით კი, რომ უფლება უნდა მქონდეს დარიგება მისცა არა მარტო მღვდლებს, არამედ ეპისკოპოსებსაც და სინოდალურ მისიონების მაგიერ „სრულიად რუსეთის" მისიონერის სახელს ვატარებდეო. „რუსკ. ვედ." ამის შესახებ სწერს: „ვოსტორგოვისთვის ზევრჯელ აღმოუჩენიათ ადგილი, როგორც ეს კავკასიაში მოხდა, სადაც მას საქართველოს საეგზარხოსოს საეკლესიო სკოლების მეთვალყურეობა მისცეს, ამიტომ საფიქრებელია, რომ სინოდი მისიონერის ადგილი მას მისცემს".

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! [illegible] გთხოვთ [illegible] ქ. გორში გამართულ 7 თიბათვეს ზახალხო სეირნობისა ლატარია-ლეგრით მუდმივი სცენის სასარგებლოდ.

მთლად შემოსავალი სეირნობისა შემოწირულებასთან ერთად 748 მან. 10 კ. სეირნობის გამართვას მოუნდა ხარჯი 98 მ. 10 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 650 მან. ეს ფული შეტანილ იქნა გორის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებაში.

მოვალედ ვრაცხავ ჩემ თავს, მადლობა გადაუხადო ყველა იმ პირთ, ვინც შემოწირულებით ან შრომით ხელი შეუწყო სეირნობის გამართვას. ლატარიიდან დარჩენილი ნივთები გაიყიდა და მიემატა ზემოდაღნიშნულ წმინდა შემოსავალს.

კნ. ნ. ი. თუმანიშვილი.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ, საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—111)

**ექიმი** ე. ს. **ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე მშობიარობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—74)

**ბალი-რესტორანი**

◀ **ამხანაგობის** ▶

**„იშანე"-ში**

სახახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია. телефонъ N 233. (50—გაკ.—11)

**სიკვდილი ბაღლინჯოებს!**

ახალი საშუალება „კლოპოვინი", რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

ასრიგება ფან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი" ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, პუშკინის ქუჩა, № 15 და აფთიაქის საწყობში კრჩინევისა, ვორონცოვის ძეგლთან, აფთიაქებს %. (15—ახ.—6)

**საკონკურსო ეგზამენებისთვის**

**ახალი სრული კატალოგი (№ 26), გამოცემული ინჟ.**

◀ **პ. ქ. შმულევიჩის მიერ** ▶

გამოვიდა 15 ივნისს და ეგზავნება ყველა მსურველს **უფასოდ.**
მსურველმა უნდა მიმართოს გამომცემლის კანტორას:
С.-Петербургъ, Ивановская ул., д. 6. (ტელეფონი 236—85).
(Мєтцль и Ко. N 94576). (3—ნ.—1)

◀ **კახელ მევენახეთა ამხანაგობა** ▶

**„მამული"**

ამით აცხადებს, რომ იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც დადებულ იქნა მდგომარე წლის 4 ივნისს ნოტარიუს მიტკევიჩთან (ჩაწერილი რასტრით № 5560), თავ. ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძე **ვაჩნაძე** ითვლება ამხანაგობიდან გასულად, რასაც ამხ—ბა აუწყებს ყველა იმათ, ვისაც ამხანაგობის საქმეებისა გამო რაიმე დამოკიდებულება აქვს ხსენებულ თავ. ნიკოლოზ ალ. ვაჩნაძესთან. (3—გაკ—3)